ივლისი
1932 წ.
№ 79

საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1932—№ 79

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მინაარსი:

მეთაური—ახალი სიო.
ვაჟი—რუსეთის რევოლუცია.
სიტყვა საქართველოს საკითხისათვის...
გ. ნაკაშიძე—ეროვ. დამ. იდეა მე-19 ს. ქარ. ლიტ.
Louis Forest—მზე-ქალა.
ლამსწრე—საქართველოს საკითხი.
მიხ. მუსხელიშვილი—სახელოთა განაწილება.
პრესა.
საქართველოს ამბები.
N—ქართველები პარიზში.
კიო. კედია—წერილი ხარბინიდან.
საბიბლიოგრაფიო შენიშვნა და სხვ.

ახალი სიო

ევროპას მოსწყდა მკერდიდან ერთი მძიმე ლოდი—რეპარაცია, რომელიც, აგერ 13 წელია, საერთაშორისო წეს-რიგიდან არ მოხსნილა და იყო მიზეზი დიდ გართულებათა.

როცა კანცლერმა ბრიუნინგმა პირველათ განაცხადა, მარშან, რომ გერმანია ვერ გადაიხდის რეპარაციასო, ყველა სასტათ დარჩა, გაოცდა. როგორ, ერთი წელი ძლივს გავიდა რაც ჰაგაში შევთანხმდით, ძალაში შევიდა იონგის გეგმა და ეხლა გამოდის გერმანია და ლამობს მის მიერ ხელმოწერილი პირობა გააუქმოსო—გაიძახოდენ ყოველ მხრიდან. საფრანგეთსა და ბელგიაში ხომ მთელი პრესა ყალყზე დადგა ცოტა გამოკლებით, გაისსენეს ბეთმან ჰოლვეგის ცნობილი ფრაზა ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო და მდგომარეობა ისე გამწვავდა, როგორაც არასდროს რურის აქეთ.

ჩვენ არა ერთხელ გვქონდა ამ გაზეთში ბაასი რეპარაციაზე, არ გვჭირია დიდ ხანს შეხერება მასზე. ეს არის ვერსალის ზავის მთავარი ნაწილი. გახსოვთ, ვინ ჩაუყარა საფუძველი ამ ზავს. ვილსონმა, და სწორეთ მან განაცხადა შორს კონტრიბუციაო. მაშინ გამოქნილმა ლოიდ ჯორჯმა და კლემანსომ მეორე გზით მოუარეს მას: კარგი, კონტრიბუცია ნუ იქნება—განაცხადეს მათ—, მაგრამ ომისგან განადგურებულ პროვინციებს ხომ აღდგენა ეჭიერება, ზარალს ანაზღაურებაო. ვილსონიც დასთანხმდა და აი აქედან ახსნა, როგორ წარმოიშვა რეპარაცია.

მაგრამ არასდროს არც ერთ ზავს ისეთი დიდი კონტრიბუცია არ უნახავს, როგორიც მათ, რეპარაციის სახით, დააწერეს გერმანიას: ასტრონომიული ციფრები, ას მილიარდზე მეტი იქრო! ჩვენ გვახსოვს ხარჯების ვაკხანალიაც, მაგ., საფრანგეთში, სულ ერთია, გერმანია გადაიხდისო და 1926 წ., როცა საფრანგეთი ფრანკის კატასტროფის წინ იდგა, ერთ-ერთი მიზეზი სწორეთ რეპარაციის იმედი იყო.

რეპარაციის უარყოფითი მხარე კიდევ ის იყო, რომ ზავის პირობები დამარცხებულთა დაუსწრებლათ შეიმუშავეს და მას საფუძვლად ბრალდება დაუდვეს გერმანიამ ასტეხა ომიო. ეს მომენტი, როგორც ვიცით, უაღრეს როლს თამაშობს «ნაცის» ასე უხომო გაბერვაში და მისი ბელადის ჰიტლერის გადიდკაცებაში.

თუ გვინდა გავიგოთ, როგორ ამოიშალა რეპარაცია წეს-რიგიდან, ჩვენ ლოზანის კონფერენციას უნდა მივმართოთ, რომელიც ორი კვირაა რაც დასრულდა. ერთი გარემოება ხდიდა ერთობ საინტერესოდ ლოზანის კონფერენციას: საფრანგეთი და გერმანია—ეს ორი მთავარი პარტნერი—სულ ახალი დელეგატების სახით წარსდგენ ლოზანაში: ერიო და ფონ პაპენი. ერიო გამოვიდა რადიკალების და სოციალისტების გამარჯვებიდან მაისის არჩევნებში, ხოლო ფონ პაპენი—იუნკრების სახელმწიფო გადატრიალებიდან, თუმცა ფორმალურათ ჰინდენბურგი არ გამოსულა ვაიმარის კონსტიტუციის ჩარჩოე-

ბიდან. როგორ შეიძლებოდა ამ ორი პოლიუსის მორიგება, დემოკრატიის და არისტოკრატიის?

და ეს იყო სწორეთ მიზეზი პესიმიზმისა, რომელიც გაბატონდა თავიდანვე ლოზანაში. იგი კიდევ უფრო გააძლიერა მაკდონალდმა, კონფერენციის თავმჯდომარემ, თავის ისტორიული ფრაზით: რეპარაციას სველი ღურბელი უნდა გადაუსვათო. გამოდიოდა, თითქო ფონ პაპენს პრემია უნდა მისცემოდა სახელმწიფო გადატრიალებისათვის!

საფრანგეთის დელეგაცია ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. იგი თითქმის გარიყეს გუშინდელმა მოკავშირეებმა. რეპარაციის უდიდესი ნაწილი დანიშნული იყო ამერიკის ვალის გასასტუმრებლათ, ეხლა კი გამოდიოდა, გერმანიისათვის უნდა ეპატიებიათ, ხოლო ამერიკისთვის უნდა ეხადათ მილიარდები.

მაგრამ ერიო არ შეუშინდა შექმნილ მდგომარეობას: თუ ამერიკა აგვიშვებს, ჩვენც ავუშვებთ გერმანიასო—განაცხადა მან. მაკდონალდი იძულებული გახდა კომპრომისი ეძებნა და კიდეც გამონახეს, აი მისი დედა-ძარღვი: გერმანია იხდის ძალიან შელავათიან პირობებში სამ მილიარდ ოქროს მარკას მოკავშირეთა სასარგებლოთ—ფაქტიურათ ეს თანხა ამერიკისათვის არის უმთავრესათ დანიშნული—, ხოლო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება მას შემდეგ, როცა ამერიკას შეუთანხმდებიან ვალის წაშლაზე ან მინიმუმამდე დაყვანაზე; მანამ კი გერმანიას ეძლევა მორატორიუმი, ე. ი. არ იხდის რეპარაციას.

მართალია, თეორიულათ, თუ ამერიკამ არ დასთმო, იონგის გეხმა ისევ ძალაში რჩება, მაგრამ ეს ეხლა არავის სჯერა, რეპარაცია მოკვდა და მისი გამობრუნება არავის ძალუძს. ამერიკა ჯერ კიდევ ბევრს იჯანჯღლებს, განსაკუთრებით ახალი პრეზიდენტის არჩევამდე, წლის ბოლოს, მაგრამ ვინ დაუშლის საფრანგეთს და მის მოკავშირეთ ერთ მშვენიერ დღეს განაცხადონ, მზგავსათ გერმანიისა, ჩვენც არ შეგვიძლია მეტი გადვიხადოთო? დღევანდელი ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი ათანასწორებს ყველას უბედურებაში, ამერიკაც იმავე მდგომარეობაშია, მისი ინტერესიცაა ამიტომ ევროპის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება.

ამისათვის ლოზანაში მეორე დიდი გადაწყვეტილებაც მიიღეს: მსოფლიო ეკონომიურ-ფინანსიურ კონფერენციის მოწვევა. განიარაღების კონფერენციაც თავის წვლილს შეიტანს უთუოთ საერთო საქმეში, გაიხსენეთ თუ გინდ პრეზიდენტ ჰუვერის «მანიფესტი», რომელიც ბომბასავით გავარდა ყენევაში. ამერიკა, რომელიც ამ ორ კონფერენციაზედ უპირველეს როლს თამაშობს, იძულებული გახდება სათანადო დასკვნა გააკეთოს.

მაგრამ რაც ყველაზე საყურადღებოა—ეს ძველ მოკავშირეთა ფრონტის აღდგენა. მათ პატიოსანი სიტყვა მისცეს ერთმანეთს—ჯენტლმენს აგრიმენტ—ერთნაირ პოზიციას დაიჭერენ ამერიკის მიმართ ვალის კითხვაში. წარმოუდგენელია, როგორ ეპყრობა ამერიკა ევროპას: ბრძანებლობს მის ფინანსებზე, უკარნახებს დოუსის და იონგის გეგმებს, ხოლო როცა საქმე განაღდებაზე მიდგება, განზე გადგება, თქვენ როგორც გინდათ, მე კი ვალები გადამიხადეთო! აი, იანკის ამ მედიდურობის ბოლო მოსაღებათ შექმნეს საერთო ფრონტი.

საერთო ფრონტში, ცხადია, უნდა შევიდეს გერმანიაც. ის ხომ სულ თანასწორობაზე გაიძახის—გლაიხბერეხტიგუნგ—ეს შემთხვევა მას მიეცემა სწორეთ მაშინ, როცა სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთათ შეუდგება საერთაშორისო სტაბილიზაციას. შესძლებს კი ის ამას? ამას დაგვანახებს რაიხსტაგის არჩევნები 31 ივლისს.

ამ არჩევნებს არა ნაკლები გულის ფანცქალით მოელის სტალინი, რომელსაც კიდევ არ დაუტოვებია ოცნება მსოფლიო დიქტატორობაზე. მისი ყმა—გერმანიის კომპარტია დღე მუდამ იმას ცდილობდა დაეკრა დემოკრატიისათვის, მისი მიმდევრები ნაცისაც კი აძლევდენ ხმას. სტალინი ხომ წარჩინებული დიალექტიკოსია, მისი ტაქტიკა ძლიერ მარტივია: ჯერ ნაცი, მერმე ჩვენო.

ასე თუ ისე, ჩვენ თავს შევიკავებთ საბოლოო აზრის გამოთქმისგან, ერთი კი ცხადია აქედანვე. როცა საერთაშორისო მასშტაბით ისეთი კითხვები ისმის, როგორიცაა ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი, განიარაღება,—იპვს გარეშეა, დიდი სახელმწიფოები გვერდს ვერ აუხვევენ ხმელეთის მეექვსედს. მოსკოვის მედროვეთ ბედი სწყალობთ—საჭიროა ვსთქვათ ეს აშკარათ—, დიდი სახელმწიფოები, მმართველთა უილაჯობის გამო, მოუწყობელია, გაჩნდა ბევრი ახალი პრობლემა, რომელსაც თავს ვერ ართმევენ, ლამობენ ძველი საშუალებებით მათ გადაჭრას, თან მუდამ ერთმანეთს ექიშპებიან.

მაგრამ ამ უთავბოლობას ერთხელაც მაინც ხომ უნდა მოეღოს ბოლო, არ მოეღება—დაემხობიან და მაშინ მოსკოვის ჯიელებს მართლაც შეუძლიათ შექმნან ისეთი ქაოსი, როგორიც შინა აქვთ. ასეთი პესიმიზმი არ გვმართებს, ძველს ევროპას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა.

და აქ გვახსენდება ოსმალეთის თხოვნა ერთა ლიგაში მიღებაზე—ამით ის ამტკიცებს, რომ ძალა მაინც ევროპაშია და არა «მეგობარ» საბჭოებში.

ჩვენ კავკასიის თვალსაზრისითაც გვამხნევებს ეს ფაქტი. კავკასიის ერთა ორიენტაცია დასავლეთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, ან კიდევ—უნდა იყოს. ოსმალეთის პირის მობრუნება აქეთკენ ერთ რამეს მაინც მოასწავებს ამ ჟამად: როგორც წევრმა ერთა ლიგისა, მან უნდა იკისროს უკანასკნელის პაქტის დაცვა და ანგარიში უნდა გაუწიოს საერთაშორისო აზრს კავკასიის სასარგებლოთ...

დროა დავასკვნათ. ლოზანის კონფერენციის შედეგები: რეპარაციის გაქრობა, ძველ მოკავშირეთა საერთო ფრონტის აღდგენა, გერმანიის მასში შესვლის იმედი ერთგვარი ახალი სიოა, რომლის გამკურნებელ ძალას თითქო ყველანი გრძნობენ.

ჩვენც, ქართველები, კავკასიელნი ვგრძნობთ ამას. ჩვენ საკითხზე თითქო არავინ ფიქრობს, მაგრამ ეს კიდევ არაა საბუთი უარვყოთ დღეს, რაც გუშინ გვითქვამს, რასაც ხვალაც ვიტყვით: კავკასია ორგანიული ნაწილია მსოფლიო სხეულისა, პირველის შველა შეიძლება იმდენათ, რამდენათ მეორეს ეშველება, გაჯანსაღდება და მით შესძლებს ბოლშევიკურ სენის ძირიან-ფესვიანათ ამოგდებას.

რუსეთის რევოლუცია

III.

ორი წინა წერილი *) დაწერილი მქონდა, რომ რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში «სოც. ვესტ.» გაიმართა კამათი იმის შესახებ, თუ რა იქნება ბოლშევიკების დაცემის შემდეგ. დავა ახალი არ არის, ძველია. იგი თებერვლის რევოლუციის დროიდან სწარმოებს. მაგალითათ მონარქისტები ფიქრობდენ, რომ ბოლშევიკების მოსვლას, ძველი წესწყობილების აღდგენა მოყვებაო. რუსების სოციალისტების ერთი ნაწილის აზრით, ბოლშევიკები გლახა მეთოდით, მაგრამ მაინც სოციალიზმისთვის იბრძოდენ. თებერვლის რევოლუციის მთავარი ხელმძღვანელი ირაკლი წერეთელი კი, თავიდანვე წინასწარმეტყველობდა: «ბოლშევიკების ზურგიდან კონტრ-რევოლუცია შემოვაო».

არც ერთი ეს აზრი იმ სახით, როგორც მაშინ ქონდათ წარმოდგენილი, არ გამართლდა. ამიტომ დავა დღესაც გრძელდება, მაგრამ ეხლა სულ სხვა ნიადაგზე, ვინემ მაშინ იყო. მაშინდელსა და არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს შორის დიდი განსხვავება არის. თვითპყრობელობის დაცემის შემდეგ, ან «ბოლშევიკების ერთი თვის არსებობის» შემდგომ, ახალი უნდა აშენებულიყო იმ სოციალურ-პოლიტიკურ ნიადაგსა და საფუძველზე, რომელიც რევოლუციის წინ არსებობდა. დღეს სულ სხვა არის.

თუ როგორი იყო ეს ნიადაგი, რას წარმოადგენდენ მაშინდელი საზოგადოებრივი კლასები, დაახლოვებით ეს ყველამ იცოდა. ამის გათვალისწინება უფრო ადვილი იყო მაშინ, ვინემ დღეს. ამიტომ პერსპექტივები ასე იხატებოდა: თვითპყრობელობის დაცემას—რესპუბლიკის დამყარება მოყვება, მემამულენი პრივილეგიებსა და მიწას დაკარგავენ და გლეხები მიწას მიიღებენ, ბურჟუაზია გაბატონებული კლასი გახდება და მრეწველობა აყვავდება, მუშათა კლასი კოალიციის თავისუფლებას მოიპოვებს და საერთოთ დამყარდება კრების, სიტყვის და სხვა თავისუფლება. ასეთი იყო დაახლოვებით ის პერსპექტივები, თუ რა უნდა მომხდარიყო მეფის ტახტის დაცემის მეორე დღეს.

თუ ბოლშევიკები «ერთი თვის არსებობის შემდეგ დაეცემოდენ» და კონტრ-რევოლუცია გაიმარჯვებდა, იგი თვითპყრობელობას აღადგენდა ძველ ნიადაგზე, თუ დემოკრატია—ის თავის პერსპექტივების განხორციელებას შეუდგებოდა.

რამდენათ ძნელი შეიქნა პოლიტიკური დიაგნოზის სისწორით დასმა მაშინდელ პირობებშიც კი, ეს დღეს ჩვენთვის ნათელია. რუსეთის სინამდვილემ არავის არ გაუმართლა იმედები და მათ შორის ბოლშევიკებსაც. სამხედრო კომუნიზმი სოციალიზმის კარიკატურათ იქცა.

ბოლშევიკების დაცემის შემდეგ ახალის შენება უნდა დაიწყოს იმ ნიადაგზე. რომელიც 15 წლის განმავლობაში რევოლუციამ მოამზადა. ეს არის ის მთავარი წერტილი, საიდანაც გაყვანილი უნდა იქნეს მომავალი პერსპექტივების მთავარი ხაზები. ეს კი გვარიანი ძნელი საქმეა, ვინაიდან ბოლშევიკების 15 წლის ბატონობამ და მუშაობამ ძირიანათ შესცვალა ყოფილი რუსეთის იმპერიის სურათი. არც სახელმწიფოს ფორმა, არც სახალხო მეურნეობა და სოციალური კლასების სახე, დღეს ის არ არის, რომელიც რევოლუციის წინ იყო, ან ჩვენი წარმოდგენით, შემდეგში უნდა ყოფილიყო. ყველა საბჭოური სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიური მოვლენანი ჩვენთვის ახალი და უცნობი არიან. მათში კაცი გაირკვევოდა, რომ მათი განვითარება ნორმალურ პირობებში სწარმოებდეს და რომ მათი შესწავლა ობიექტიურათ შეიძლებოდეს. არც ერთი ეს არ არის. მეფის რუსეთის შესწავლა შეიძლებოდა არა მარტო იმ მასალების მიხედვით, რომელსაც ოფიციალური დაწესებულებები იძლეოდენ, არამედ იმ კვლევა-ძიებითაც, რომელსაც ოპოზიციონური და ზოგჯერ რევოლუციონური პარტიები ახდენდენ. საბჭოური სინამდვილის შესასწავლათ ამ საშვალებას მოკლებული ვართ. უნდა დავეყრდნოთ ბოლშევიკურ ოფიციალურ ცალმხრივ ცნობებსა და გაგონილ ამბებს. ეს კი ისეთი სარკეა, რომელიც სწორ სახეს არასოდეს გაჩვენებს.

მაგალითათ დღეს ბევრს სწერენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასზე და გლეხობაზე, მაგრამ არავინ გადაჭრით არ იცის, რას წარმოადგენენ ამ ჟამათ

*) იხ. «დამ. საქ.» № 75, 77.

ისინი. განა შეიძლება ვიმსჯელოთ რუსეთის მუშათა კლასზე იმ სახით, როგორც ამას ჩავდივართ ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატის შესახებ?! არა. იგი განსხვავდება არამც თუ მათგან, არამედ ომამდის არსებულ მუშათა კლასისგან. ომმა და რევოლუციამ მისი სოციალური შემადგენლობა დიდათ შესცვალა. ზოგიერთის გამოკვლევით საბჭოთა კავშირის მუშების 70 პროც. შეადგენენ—ყოფილი წვრილი ვაჭრები, ყოფილი ოფიცრები, ყოფილი მოხელეები და გლეხები. ასეთ პირობებში რუსეთის მუშათა კლასის მისწრაფებისა და სულიერი განწყობილების გაგება შეუძლებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში მეტათ ძნელია. განა მუშათა კლასის ეს 70 პროც. ბოლშევიკების მეორე დღეს პროლეტარიატის იდეას დაიცავს, მისი უფლებებისთვის იბრძოლებს? მისი დიდი უმეტესობა უეჭველათ შეეცდება თავის დაკარგული უფლებების აღდგენას.

კოლექტივიზაციის შემდეგ რთული ურთიერთობა არის შექმნილი სოფელშიც. სადა მდგომარეობა აღარ არსებობს, ბოლშევიკების მეორე დღეს საკითხი დაისმება არა მემამულეთა მიწების შესახებ, არამედ გლეხებისა და კოლექტივების, რომლის დროს ძნელი იქნება გარკვევა, ვის რა ეკუთვნოდა და ეკუთვნის.

ასეთია მოკლეთ საბჭოთა კავშირის ორი მთავარი კლასის ვითარება. რაღა ითქმის კოვკავშირზე, რომლის გენერაციაც ჭრელია და სულიერი განწყობილებაც ნისლიანი!

მიუხედავათ დიდი სიძნელისა, პოლიტიკური მოღვაწე და პარტია ვალდებულია გაირკვეს მათში და იქონიოს დაახლოვებითი წარმოდგენა მათზე. წინაამდეგ შემთხვევაში მას არ ექნება სწორი პერსპექტივები და არ ეცოდინება, ბრძოლის შედეგათ რას მიიღებს. პარტია, რომელიც ასე არ მოიქცევა, დაემსგავსება მორწმუნეთა კრებულს და დაკარგავს პარტიის სახეს. ემიგრანტულ დაჯგუფებებს ეს ავათმყოფობა ემჩნევათ.

რომ კითხვის გარკვევა გაგვიადვილდეს, ამისთვის საჭიროა წვრილმანების გვერდზე გადადება და იმ მთავარი საკითხების გამოყოფა, რომლებიც ბოლშევიკების დაცემის მეორე დღეს წამოიჭრებიან. ასეთებათ ჩემის აზრით უნდა ჩაითვალოს: 1) სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა, 2) სახალხო მეურნეობის სისტემა და 3) ნაციონალური საკითხი.

ემიგრაციის ერთ ნაწილში გავრცელებულია შეხედულება: «ამის უარესი არ იქნებაო». ჩემს წერილებში «მოსკოვი წინეთ და ეხლა» დაწვრილებით შევეხე ამ შემცდარ შეხედულებას. აქ მას აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ რუსეთის თეთრი ემიგრაციისთვის უარესი შეიძლება მართლაც არ იქნეს, ხოლო რუსების მუშებისა და გლეხებისთვის უარესი შესაძლებელია. მარკოვი მეორეს ჩეკა ბოლშევიკების ჩეკაზე უარესი იქნება მათთვის. კონტრ-რევოლუცია თუ დაბრუნდა რუსეთში, დაბრუნდება არა კანონიერებისა და თავისუფლების მოყვარული მონარქისტ პეტრე სტრუვეს სახით, არამედ მარკოვისა და გენ. მილერის სახით, რომელიც თავის წრეში გენერალ დენიკინსა და მის მიმდევრებსაც ვერ ითმენს. ძველი რეჟიმის დროს, როგორი რეაქციონური და მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მაგრამ ზმელების და ჭეშმარიტ რუსთა კავშირი, სახელმწიფოს მაინც არ განაგებდა. მეფის მთავრობა მათ მხოლოდ ისმარიებდა, ხოლო სახელმწიფოს მართავდენ მემამულენი და ბიუროკრატია, რომელსაც კულტურა არ აკლდა და ევროპასაც ანგარიშს უწევდა.

კონტრ-რევოლუცია, რომელიც რუსეთში უნდა მოვიდეს, არც ერთი ეს არ ექნება. მისი ელემენტები, რუსეთში, ისე ემიგრაციაში, ორივე ამ თვისებას მოკლებულია. ყველა ეს დაჯგუფებები—ევრაზიელები, მლადოროსები, ფაშისტები, გალიპოლიელები, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ. კუტეპოველები, ემიგრაციაში წარმოადგენენ სწორეთ ასეთ ელემენტს. ისინი გამსჭვალული არიან არა მეფის პათოსით, თუგინდ ისეთის, როგორიც ნიკოლოზ პირველი იყო, არამედ —მუსოლინის, ჰიტლერის და უფრო კი სტალინის. არავინ ისე გატაცებით არ სწავლობს სტალინს, როგორც დასახელებული ჯგუფები. მათთვის სტალინი ყველაზე უფრო დიდი ავტორიტეტია. მათ არ მოსწონთ მისი იდეა, ხოლო მის სახელმწიფო სისტემას და მართვა-გამგეობის მეთოდს სავსებით იღებენ. მლადოროსს ქაზინ ბეკს საბჭოთა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე ივანე კალინინი სურს კირილე რომანოვით შესცვალოს და სტალინის ადგილი თვითონ დაიკავოს. სხვაფრივ საბჭოური სახელმწიფოს სისტემა მათთვის მისაღებია და უკეთეს სახელმწიფო ფორმათაც მიაჩნიათ. ვინემ ევროპიულ სახელმწიფოს სისტემა, ანდა ძველი პეტერბურგული იმპერატორული. ასეთივე აზრის არიან დანარჩენი დაჯგუფებანიც. მათი გავლენა ემიგრაციაში დიდია, განსაკუთრებით ახალგაზდობაში, რომლის წლოვანება 40 წლიდან იწყება.

რასაკვირველია, ემიგრაცია ბოლშევიკების დაცემის საქმეში მთავარ როლს ვერ ითამაშებს, ის მხოლოდ დამხმარე იქნება და «მეორე დღეს» მივა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ემიგრაციის ფაშიზმს რუსეთში აუცილებლათ ყავს მიმდევრები. ბოლშევიზმა და კერძოთ სტალინიზმა, მას მოუმზადა ნიადაგი. ამ აზრით ირ. წერეთელის წინასწარმეტყველობა უფრო ახლოს არის სინამდვილესთან, ვინემ სხვების. ამიტომ კონტრ-რევოლუცია ბონაპარტიზმის საფეხურს აღარ გაივლის, ის რუსეთის პირობებთან შეხამებული სტალინიზმის სახით უკვე არსებობს და თუ მოვა იგი, მოვა-როგორც ფაშიზმი.

ამ მხრით მეტათ საინტერესოა ემიგრაციიდან წასული სმენავეხელი ფაშისტი პროფ. უსტრიალოვი, და საბ. კავშირიდან მოსული ფაშისტი-კომუნისტი—დმიტრევსკი. ორივენი ისინი გამოხატავენ აქაურსა და იქაურ ფაშისტურათ განწყობილ ფენების სულისკვეთებას. ერთიც და მეორეც ლენინსა და სტალინს მაღლა აყენებს, ქებათა-ქებას ასხამს. მთავარი ეხლა ის არის, ვიცოდეთ რამდენათ დიდია ფაშიზმის გავლენა იქ რუსეთში. ამის სისწორით გამოანგარიშება არავის შეუძლია, ვარაუდით კი შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის და ევროპიულ მონარქიზმის მეტი თუ არა, ნაკლები შანსები არ აქვს მას. უნდა ვიფიქროთ, რომ მუშათა კლასში შეხიზ-

ნული ელემენტი მას გაყვება. გლეხობაც დაუჭერს მხარს, თუ კი ფაშიზმა მას მიწა დაუბრუნა და წვრილი საკუთრება აღუდგინა. ფაშიზმს მიეკედლება და შეიძლება დიდი როლიც ითამაშოს, კომკავშირის ის ნაწილი, რომელიც კარიერას უფრო მაღლა აყენებს, ვინემ იდეას და აგრეთვე ისიც, რომელიც რუსული ნაციონალიზმით არის გატაცებული. კომკავშირში ორივე ეს ელემენტი საკმაოთ მოიპოვება. ასევე უნდა მიუღოგეთ წითელ არმიასა და ჩეკაში მომუშავეთაც.

ფაშიზმის გამარჯვებას დიდათ შეუწყობს ხელს ანარქიაც. ებრაელების თორა ამბობს: «ქოთანი დაეცემა ქვას. თუ ქვა ქოთანს, მაინც ქოთანი გატყდებაო». ცენტრში ბოლშევიზმზე ფაშიზმი გაიმარჯვებს, თუ დემოკრატია, საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლება და ანარქია დაიწყება. ეს ამინებს არა მარტო რუსის სოც. დემოკრატებს, არამედ კ. კაუცკისაც და სწერს: «ბოლშევიზმა დაანგრია ყველა ორგანიზაციები, ყველა სამეურნეო, პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა ორგანოები. რომელთაც შეეძლოთ ერთათ შეეკრათ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები. მან ისინი თავისი ბატონობის აპარატით შესცვალა. როცა ის დაინგრევა, მაშინ დადგება რუსეთის დაშლის დიდი საფრთხე, უფრო რეალური, ვინემ ბონაპარტიზმის ცენტრალიზმი. დადგება საფრთხე, რომ ყოველი ქალაქი, ყოველი ოლქი და სოფელიც კი, დაიწყებს ცალკე არსებობას და მოქმედებას და არ იზრუნებს სხვაზე და საერთოზეო». რუსეთის ასეთი მდგომარეობა ხელს შეუწყობს არა დემოკრატიის გამარჯვებას, არამედ—ფაშიზმისა და დიქტატურისა. ანარქია და შფოთი დემოკრატიას საერთოთ ასუსტებს. მაგალითი გერმანიაა. მით უფრო ძნელია ეს უკულტურო ქვეყნის ახალგახდა დემოკრატიისთვის.

ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, როცა კაუცკი ამბობს—რუსეთისთვის უფრო უარესი რაც დღეს არის, ვერ წარმომიდგენიაო. სამწუხაროთ, არამც თუ წარმოსადგენია, არამედ შესაძლებელიც. ცარიზმა ბოლშევიზმი მოამზადა, რომელიც ერთ დროს თავისუფლებისთვის იბრძოდა. ასე თუ ისე მას აფასებდა, მაგრამ რუსეთის სინამდვილეში იგი მან ფეხქვეშ გათელა და მისი ჯალათი გახდა. ბოლშევიზმა ფაშიზმს მოუმზადა ნიადაგი, რომელიც არამც თუ რუსეთში, ევროპაშიც ვერ იტანს თავისუფლებას. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ რუსეთის ფაშიზმი შურისძიებითაც იქნება შეპყრობილი. სტალინის უღელქვეშ რუსის ხალხი ღღეს სტირის, მისი ქვითინი ევროპაშიც აღწევს. ფაშიზმის უღელ ქვეშ იგი ტირილსაც ვეღარ შესძლებს და თავისი ყმუილით ქვეყანას შეაძრწოლებს. ეს არის ერთი შესაძლებლობა. ფაშისტური ცენტრალისტური სახელმწიფოს აჩრდილი თავს დასტრიალებს რუსეთს.

მეორე შესაძლებლობა არის დემოკრატიის გამარჯვება, საბჭოთა კავშირიდან შეერთებული ფედერატული შტატების შექმნა. დემოკრატიული ცენტრალიზმი რუსეთში ვერ გაიმარჯვებს, რადგან მისი მთავარი ძალა პერიფერიებშია. რამდენათ უფრო შორს გაიყვანთ მოსკოვიდან რადიუსს, იმდენათ უფრო ძლიერი აღმოჩდება დემოკრატია. ეს ახლო წარსულმაც დაგვიმტკიცა და ამ ჟამათ ბოლშევიზმის წინააამდეგ წარმოებული ბრძოლაც ამას ამბობს. თვით შიდა რუსეთშიც ყავს დემოკრატიას მიმდევრები.

მართალია ბოლშევიზმა ფაშიზმს მოუმზადა ნიადაგი, მაგრამ ამავე დროს დემოკრატიაც გამოაფხიზლა, თავისუფლების ღირებულება მაღლა ასწია. ბოლშევიკური დიქტატურა ხალხს სულს უხუთავს და თავისუფლათ მოქმედებისა და აზროვნების წყურვილს ზრდის მასში. თვით ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა ხალხის ქვედა ფენები ჩააბეს საბჭოურ სახელმწიფოს აპარატში, მოიყვანეს მოძრაობაში და ამავე დროს შებოჭეს ბოლშევიკური იდეით და უგნური დეკრეტებით, ხალხში ქმნის სურვილს მართლა იყოს სახელმწიფოს ბატონ-პატრონი და არა ფიქციათ. ის ფაქტი, რომ ხშირათ ადგილობრივი ხელისუფლება არ ემორჩილება ცენტრის განკარგულებას და მოსკოვს მასთან ბრძოლა უხდება, ამბობს მას, რომ არიან ელემენტები, რომლებიც დამოუკიდებლათ აზროვნობენ და მოქმედებენ. ის ციებ-ცხელება, რომელსაც საბჭოების გადარჩევის დროს კომუნისტური პარტია იჩენს, რათა არჩეულნი არ იქნენ ფარული მენშევიკები და ესერები, ამტკიცებს, რომ ხალხს სურს აირჩიოს თავისი წარმომადგენელი თვითონ და არა ზევიდან კარნახით. და საკმარისია, რომ ბოლშევიკებმა რეპრესიები შეამციროონ, რომ ხალხის ამ სურვილმა გარეთ გადმოხეთქოს.

უეჭველია, დანიშნულმა და გამოგზავნილმა კომჩინოვნიკებმა, ხალხის თვალში ავტორიტეტი დაკარგეს და შეათვისებიეს ის აზრი, რომ ზევიდან დანიშნული პირი არასოდეს მათ ინტერესს არ დაიცავს და იქნება მისი სურვილების აღმასრულებელი, ვინც მას ნიშნავს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ფაშიზმი, რომელიც ზევიდან დანიშვნისა და კარნახის სისტემას ფაშისტურ სახელმწიფოს საფუძვლათ უდებს და რომელიც საბჭოების ამ მხრით გამოყენებას მოინდომებს, უეჭველათ შეხვდება ხალხის წინაამდეგობას. ხალხი მიტომ კი არ შეაქცევს ბოლშევიზმს ზურგს, რომ იგი მემარჯვენე ბოლშევიზმა შესცვალოს, არამედ მიტომ, რომ მას სურს იყოს თავისი ბატონ-პატრონი.

პარტიული დემოკრატიისთვის ბრძოლა, რომელიც კომპარტიაში სწარმოებს გვიჩვენებს მას, რომ დემოკრატიამ დიქტატორული პარტიის რიგებიც შეარყია. როგორც სჩანს დემოკრატიას მიმდევრები ყავს კომკავშირშიც. ამის საბუთები არის. დემოკრატიას დაიცავს მთელი თავისი ენერგიით მუშათა კლასის ერთი ნაწილიც. მან დიქტატურა თავისი მწარე გამოცდილებით იცის და თუ წითელი დიქტატურა მისთვის უბედურება გახდა, შავი დიქტატურა მისთვის კიდევ უფრო უარესი იქნება. ამიტომ თუ კი დემოკრატიამ ბრძოლის უნარი გამოიჩინა, მუშების ერთი ნაწილი მას საქმით დაუჭერს მხარს. სხვა გამოსავალი მისთვის არ არსებობს. მით უმეტეს, რომ კონტრ-რევოლუცია არასოდეს მუშათა კლასს ნდობით არ მოეპყრობა და შეიძლება შურისძიებაც კი დაიწყოს მასზე.

დემოკრატიას გლეხობაც მეტის ნდობით მოეპყრობა, ვინემ ფაშიზმს. ამ უკანასკნელთა რიგებში

ის დაირახავს ყოფილ მემამულეთა და თეთრგვარდიელებს, რომელნიც მას მოაგონებენ წარსულს და რომელთა დაბრუნება სრულებითაც არ შეადგენენ მის ინტერესებს.

ისე როგორც ფაშიზმს, დემოკრატიას წითელ არმიაშიც აღმოაჩენდება მომხრეები და ადვილათ შესაძლებელია, რომ მას ფაშიზმზე მეტიც ეყოლოს, ვინაიდან არმიელთა სოციალური შემადგენელობა დემოკრატიულია. წითელ არმიელთა მეთაურების დღევანდელი შემადგენელობის უმეტესობა გლეხებისა და მუშების წრიდან არის გამოსული. მეფის ყოფილი ოფიცრობა მას დღესაც ზიზღით უცქერის, ზევიდან ქვევით უყურებს და მისდამი მტრობა აქვს. წითელი კავალერიის უფროსი ბუდიონი მათ თვალში დღესაც ვახმისტრია. ამიტომ კონტრ-რევოლუციონერების სამშობლოს გამოსულს ფაშიზმს გაუჭირდება წითელ მეთაურებთან საერთო ენის გამონახვა. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ფაშიზმი მეფის ოფიცრობას და თეთრ გვარდიას სავსებით დაუსვამს ჯვარს და ახლოს არ გაიკარებს. ემიგრანტული ფაშიზმი ამას ვერ იქს.

ერთი სიტყვით დემოკრატია რუსეთში სავსებით ნიადაგს მოკლებული არ არის, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ. მას მიმდევრები ყავს და ბოლშევიკებთან ბრძოლაში შეიძლება მან ფართო მასსებიც შემოიკრიბოს, თუ კი ბრძოლისა და ხელმძღვანელობის უნარს გამოიჩენს, «კერენშჩინას» არ განიმეორებს და საგარეო პირობებიც ხელს შეუწყობენ. ბევრს ნიშნავს ის, თუ როგორი მდგომარეობა იქნება ევროპაში. ევროპის ძლიერი დემოკრატია უეჭველათ შეეცდება გაუმაგროს ზურგი რუსეთის ნორჩ დემოკრატიას. ეს მის ინტერესებსაც შეადგენს.

ასეთ ვითარებაში, თუ რუსეთის დემოკრატიის ხელმძღვანელებმა ბრძოლის უნარი გამოიჩინეს და დემოკრატიის ინტერესები რუსულ ნაციონალიზმს არ შესწირეს, როგორც ეს მათ თებერვლის რევოლუციის დროს ჩაიდინეს, შეიძლება გაიმარჯვონ. 15 წლის წინეთ დემოკრატიას ბოლშევიზმა წაართვა მასსები და თვითონ ჩაუდგა კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში. თებერვლის რევოლუციის ხელმძღვანელებმა ხალხის სულისკვეთება ვერ გაიგეს და ორეოფუულ პოლიტიკას დაადგენ. ორეოფობა კი გახურებული ბრძოლის დროს, ყველაზე ცუდი იარაღია.

ეხლა როლები უნდა შეიცვალოს. დემოკრატიამ თავის მხარეზე უნდა გადმოიყვანოს მასსები, უნდა ეცადოს რათა იგი მემარჯვენე ბოლშევიზმა არ წაართვას და უნდა ხელმძღვანელოს მის ბრძოლას. მარცხნიდან მას საფრთხე არ ექნება, კონკურენტი არ ეყოლება, ხოლო მარჯვნით ბრძოლა დასჭირდება.

მაგრამ რომ ბრძოლა მოიგოს, ამისთვის საჭიროა არა მარტო საღი პოლიტიკური აქტიური ხელმძღვანელობა, არამედ რუსეთის ხალხის შესაფერისი ეკონომიური პროგრამაც.

ბაჟი.

ჩეხია, 20 მაისი, 1932 წ.

სიტყვა საქართველოს საკითხისათვის

წარმოთქმული ჩეხოსლოვაკიის სენატში—მისი თავმჯდომარის dr. სოუკუპის მიერ

23 ივნისს 1932 წ. *)

ბატონმა სენატორმა ნედვედმა შემოიტანა ჩემდამი, თანახმათ რეგლამენტის 69 პარაგ., შეკითხვა, რომელშიდაც იხსენიებს, რომ მე «პრავო ლიდუ»-ს ცნობის მიხედვით თავმჯდომაეობდი 26 მაისს სასტუმრო «მონოპოლში» ქართველ ემიგრაციის სხდომაზე და მოჰყავს «პრავო ლიდუ»-ს ცნობებიდგან შემდეგი აბზაცი:

«მანიფესტაცია დაამთავრა dr. სოუკუპმა იმით, რომ გამარჯვება უსურვა საქართველოს და მის სოციალდემოკრატიას, რომელიც უდგას სათავეში ამ ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. სხდომის მონაწილენი დაიშალენ, უსურვეს რა ხანგრძლივი წარმატებითი მუშაობა საქართველოს პრეზიდენტს ყორდანიას და ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს მასარიკს.»

სენატორი ნედვედი ამტკიცებს, რომ ამ სიტყვებით მე პირდაპირ მოუწოდე საქართველოს ჩამოშორდეს საბჭოთა კავშირს, რომ ეს მოვიქმედე იმ ისტორიულ მომენტში, როცა იაპონიის იმპერიალიზმი მზათაა, თავს დაესხას საბჭოთა კავშირს და ამით ჩავიდინე უკიდურესათ მტრული საქციელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ მეკითხება, როგორც სენატის თავმჯდომარეს—მომეხსენება თუ არა, რომ საბჭოთა კავშირს და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის არის მეგობრული ურთიერთობა, როგორც ამაში ხშირათ გვარწმუნებს ოფიციალურათ გარეშე საქმეთა მინისტრი dr. ბენეში, მომეხსენება თუ არა, რომ ასეთი გამოსვლებით ვეურევი მეგობრულ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, რომ ამ რიგათ მხარს ვუჭერ ბრძოლას მეგობრულ საბჭოთა კავშირში დამყარებული უფლებრივი წესების წინააღმდეგ, რომ აგრეთვე ასეთი მოქმედებებით ვეწინააღმდეგები ჩეხოსლოვაკიის მთავრობის და მინისტრი ბენეშის საგარეო პოლიტიკას, რომ ასეთი გამოსვლები სრულიად შეუფერებელია

*) უკანასკნელ დროს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებმა გაცხარებით დაუწყეს შეტევა საქართველოს და ქართველ ემიგრაციას, არ დაივიწყეს ჩვენი გულითადი და ერთგული მეგობარი სოუკუპი, სენატის თავმჯდომარე, რომელიც თავგამოდებულია საქართველოსათვის. ამა წლის 26 მაისს ბ. სოუკუპი თავმჯდომარეობდა პრადის ქართველთა სადღესასწაულო კრებას. კომუნისტმა სენატორმა ნედვედმა ამის გამო შეკითხვა შეიტანა სენატში. ქვემო დაბეჭდილი სიტყვა სოუკუპისა ამ შეკითხვის პასუხია. მთელი სენატი (გარდა კომუნისტებისა) მხურვალე ტაშით შეხვდა სოუკუპის სიტყვას. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ და იგი ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთებმა მოათავსეს მეორე დღეს და სათანადო კომენტარიებიც უძღვნეს.

სენატის თავმჯდომარის ფუნქციის და გარ თუ არა თანახმა მომავალში ხელი ავიღო მსგავს მტრულ და წამქეზებელ მოქმედებაზე?

ამ შეკითხვაზე ვუპასუხებ:

მართალია, რომ მე 26 მაისს თავმჯდომარეობდი ქართველ ემიგრაციის სხდომას პრაღაში. 26 მაისი ქართველებისათვის არის ის, რაც ჩვენთვის, ჩეხოსლოვაკიისთვის 28 ოქტომბერი. ეს არის დღე ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განახლებისა. ბუნებრივია, რომ ამ კრებაზე მე არ მიმიდია მონაწილეობა როგორც თავმჯდომარეს ჩეხოსლოვაკიის სენატისა, არამედ ვიყავი იქ როგორც თავმჯდომარე კერძო საზოგადოების «საქართველოს მეგობართა კავშირის ჩეხოსლოვაკიაში». მეათე წელიწადია, რაც ამას ჩავდივარ და ასე მოვიქცევი მომავალშიაც, ვინაიდან ჩემს მოქმედებაში არაფერია ისეთი, რაც ღირსი იყოს საყვედურის, როგორც საერთაშორისო, ისე უბრალო ადამიანობის თვალთსაზრისით.

სრულიად ობიექტიურად აღვნიშნავ აგრეთვე,— რომ შეკითხვის შემომტანი არ არის უფლება მოსილი, რომ მე გამიკეთოს ინტერპელაცია ისეთ საქმეში, რომელიც შეადგენს თვით მეორე სახელმწიფოს ოფიციალურ საქმეების კომპეტენციას. წელს 5 ივნისს შესრულდა სწორეთ ათი წელიწადი, რაც ერთი მხრით ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელის და მეორე მხრით კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის მოსტოვენკოს მიერ დადებულ იქნა დროებითი ხელშეკრულება, რომლითაც მოწესრიგებულია სახელმწიფოებრივი და ეკონომიური ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა შორის. ამავე ხნის განმავლობაში ვარ აგრეთვე თავმჯდომარეთ «საქართველოს მეგობართა კომიტეტის ჩეხოსლოვაკიაში». მთელი ამ ხნის განმავლობაში არ დაუნახავს არც მიხან-შეწონილათ და არც საბუთიანად საბჭოების რომელიმე ორგანოს იქ თავის ქვეყანაში და აქ უცხოეთში, რომ ჩემი ასეთი გამოსვლები თუნდ ერთი სიტყვითაც საყვედურით მოეხსენებინოს. არ ქონია ამას ადგილი არც ოფიციალურათ, არც არა ოფიციალურათ. საბჭოთა სავაჭრო მისიის წარმომადგენელს პრაღაში არც ერთი სიტყვითაც რაიმე პროტესტით არ მოუმართავს ჩემდამი ამ მხრივ, როცა ის სადარბაზოთ იყო ჩემთან, როგორც სენატის თავმჯდომარესთან და არ ჰქონია ამას ადგილი არც ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ წარმომადგენელ ბატონ მინისტრ ბენეშისადმი.

ამ ინფორმაციას საჭიროთ მიმაჩნია დაუმატო შემდეგი:

ქართველები არიან განსაკუთრებული ისტორიული ერი კავკასიაში, რომლის რიტხვი უფრის ორ ნახევარ მილიონს. ის არის ერი დემოკრატიული, უმაღლესი ევროპიული კულტურის და შესანიშნავი ლიტერატურის. საქართველო, ძველი ათას წლიანი დიდებული ანტიური კოლხიდა, მისი შავი ზღვის ნაპირებით, მსოფლიოში განთქმული მარგანეცით და ბუნების სხვა მრავალი იშვიათი სიმდიდრით, თავისი დაბურული ტყეებით და ყოველნაირათ საამაყო, მუდამ მზიანი სამხრეთით, სძევს საავჭრო გზაჯვარედინზე ევროპას და აზიას შორის და წარმოადგენს ქვეყანას უდიდესი მომავლით. ასეულ წელთა განმავლობაში იყო საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო და მხოლოთ 120 წლის წინეთ რუსეთის მეფეების ანექსიით შეერთებულ იქნა დიდ რუსეთთან. მოხდა რა რუსეთის რევოლიუცია, ქართველმა ხალხმა თანახმად საყოველთაოთ აღიარებული ერთა თვით გამორკვევის უფლების პრინციპისა, მოახერხა აღედგინა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლება და 26 მაის, 1918 წელს მოეწყო თავის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი და ნაციონალური დამოუკიდებლობა.

დემოკრატიული საქართველო ცნობილ იქნა ფაქტიუათ 11 იანვარს 1920 წლ. ვერსალის კონფერენციის მიერ და 27 იანვარს 1921 წლ. ის ცნობილ იქნა დე იურეთაც მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ —როგორიცაა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ბელგია, იაპონია, პოლონეთი, რუმინია და სხვა.

თვით საბჭოთა მთავრობამ იცნო საქართველო დე იურეთ და დადვა მასთან ხელშეკრულება მოსკოვში 7 მაისს 1920 წლ.

ეს ხელშეკრულება შეიცავს 16 მუხლს და პირველი ორი აღიარებს სიტყვა სიტყვით შემდეგს:

მუხლი 1. «რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა აღიარებს რა თვისუფალი თვით გამორკვევის უფლებას ყველა ერებისათვის და ეს გულისხმობს სრულს გამოყოფასაც იმ სახელმწიფოსაგან, რომლის წევრი ის იყო ამ დრომდის, და ეყრდნობა რა ყველა ერების ამ უფლებას, სცნობს ყოველი პირობის გარეშე საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და თავის ნებით ხელს იღებს ყველა იმ უფლებებზე, რომელიც დღემდის ეკუთვნოდა რუსეთს როგორც ქართველ ხალხზე ისე მისი ქვეყნის შესახებ».

მუხლი 2. «რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა ეყრდნობა რა იმ პრინციპებს, რომელნიც აღიარებულია ამ ხელშეკრულების წინა მუხლში, პირობას სდებს არ ჩაერიოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შინაგურ საქმეებში».

საქართველოს რესპუბლიკამ დაარსა აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობა საზღვარგარეთ, რაც დღემდის ცნობილია დასავლეთ ევროპაში.

ასეთია დღევანდელი უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს: მთელი 12 წლის განმავლობაში დღევანდლამდის ამ უფლებრივ მდგომაოეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მოხდა ცვლილება ფაქტიურ მდგომარეობაში. 1921 წლის გაზაფხულზე გარეკილ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება და მთელი საქართველო რამდენიმე კვირის განმავლობაში სასხლეტი ბრძოლების შემდეგ დაპყრობილ იქნა საბჭოების სამხედრო და პოლიციურ ძალებით და ქართველ ხალხს ამ ძალით თავზე მოაცვიეს საბჭოთა რეჟიმი. მრავალი მოწინავე მუშაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები გამოიხიზნენ უცხოეთში, გამეფებულ ტერორის გამო.

საჭიროთ მიმაჩნია შევნიშნო, რომ არას დროს არ ჩავრეევივარ საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში, ამ მხრივ ყოველთვის ვიდექი ჩვენი ჩეხოსლოვაკიის, ლეგიის თვალსაზრისზე და მუდამ ვიცავდი სოციალისტური ინტერნაციონალის შეხედულებას, რომლის ბიუროს წევრიც ვარ, რომ საბჭოთა რეჟიმის არსებობა რუსეთში არ იძლევა არავითარ საბუთს რაიმე ინტერვენციისათვის უცხოეთის მხრივ და თვით რუსეთის ხალხის საქმეა დამოუკიდებლივ გადასწყვიტოს, რა ნაირიც მას სურს ფორმა მართვა გამგეობის და მოაწესრიგოს ურთიერთობა ამ მიწაზე მცხოვრებ ერებსა შორის.

დაბოლოს საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ქართველ ემიგრაციაში გავიცანი პიროვნებები იშვიათი კულტურის, ერუდიციის და პატიოსნების. ვასრულებ ჩემს ელემენტარულ ადამიანურ მოვალეობას, როცა ამ ჩემ ქართველ მეგობრებს ვეხმარები ჩემი ძალღონის მიხედვით, სიტყვით თუ საქმით. ჩვენი რესპუბლიკა აძლევს პოლიტიკურ ემიგრანტებს თავშესაფარის უფლებას, მას შეუძლია იყოს სრულიად კმაყოფილი დაჭეშმარიტათ იამაყოს ამით. გადაჭრით ვაცხადებ, რომ არასოდეს არ დაუშვებთ რომ ეს უფლება თავშესაფარისა ჩვენში როდისმე გაუქმდეს და ჩადენილ იქნას მტრული მოქმედება პატიოსანი ადამიანების მიმართ. მათი დაბრუნება საბჭოთაში დღეს, დღევანდელი რეჟიმის არსებობის დროს მოასწავებდა მათ დევნას, დასჯას, გადასახლებას, ციხეს და სიკვდილით დასჯასაც, იმისთვის მხოლოდ, რომ ისინი იბრძვიან თავისი ერის თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის...

ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში *)

საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსთვის მეცხრამეტე საუკუნე, საუკუნე ადამიანის პიროვნების და ხალხთა უფლება-თანასწორობის დამცველი, მრავალ ჩაგრულ, დამონებულ ერთა მკვდრეთით აღდგენის მოწამე!

სწორეთ ამ საუკუნის გარიჟრაჟზე აღსრულდა ბედი ქართლისა, მოისპო მისი სუვერენობა და თავისუფლება, დამოუკიდებლობის მოტრფიალე ერს მძიმე მონობის უღელი კისრად დაედო, რკინის ბორკილი ხელთ გაეყარა...

«არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთვისა მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართებულობისასა, მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა სამღრთოსა ვალსა, მსმენმან ვნებულთა ვედრებისა, განსადევნელად შეჭივრებათა მათთა დავაწესოთ საქართველოსა შინა მართველობა ჩვენი», ღაღადებდა ალექსანდრე «კურთხეულის» მანიფესტი საქართველოს შემოერთებით გამოწვეული.

არა ერთხელ შემოჭრილა საქართველოს ხანგრძლივ ისტორიის მანძილზე უცხო ძალა მის საზღვრებში, არა ერთხელ ცეცხლითა და მახვილით აღუგავთ, ხელთ უგდიათ მშვენიერი მისი ქვეყანა, მაგრამ არასოდეს სმენია ჩვენს სამშობლოს ასეთი მზაკვრული ყოვლად უსინდისო დასაბუთება-გამართლება თვისი ყოვლად ხეპრე, საქციელ-მოქმედებისა. დამხმარედ, მფარველად მოწვეულმა ერთმორწმუნე რუსეთმა დაარღვია, გასთელა ფეხ-ქვეშ დადებული ხელშეკრულება და სრულიად მოულოდნელად ზურგიდან მახვილი ჩაჰკრა მისდამი ნდობით აღჭურვილ ერს.

საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ერთმორწმუნე ნათესავის საქციელმა. გაისმა პროტესტები და წყევა-კრულვა არა მკითხე მაცხონებელის მიმართ. და როს ვერავითარმა სიტყვა-მუქარამ ვერ გასჭრა, აჯანყებათა ცეცხლის ალი ავარდა თითქმის მთელ საქართველოში: «ვერაგი რუსეთის განდევნა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა»,—აი რა იყო წმინდა მიზანი ამ ერთი მეორის მომდევნო აჯანყებათა მთელი რიგისა.

მაგრამ უმოწყალო ბედმა გასწირა ჩვენი ქვეყანა და უსწორო ბრძოლაში მრავალგზის სასტიკად დამარცხებული, საუკეთესო მამულიშვილთა სისხლით მორწყული, უბრალო გუბერნიად გადაქცეული მოექცა ისიც უზარმაზარ რუსეთის იმპერიის ხალხთა საპყრობილეში.

დაიწყო ახალი ხანა ჩვენი ერის ცხოვრებისა, ხანა აღსავსე გამოუთქმელი ტრაღიზმით და მწუხარებითა. ხოლო დღეს მე არ ვფიქრობ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ცხოვრების ისტორიაზე ლაპარაკს. ჩემი საუბრის მიზანია გაშუქება, მოგონება თქვენთვის იმისა, თუ როგორ მიიღო, როგორ გამოეხმაურა და შეაფასა ქართულმა ლიტერატურამ უცხო ძალის შემოჭრა-დამყარება ჩვენს ქვეყანაში.

ცნობილია, რომ მწერლობა თავისი ეპოქის უტყუარ დამღას ატარებს, რომ ყოველივე ის, რაც აწუხებს, აღფრთოვანებს თუ აღაშფოთებს ერს, ყოველივე ეს მის შემოქმედებაში პოულობს თავის ანარეკლს, თავის გამოსახვას. და ამიტომაც ვისაც სურს გაეცნოს წარსულ ეპოქას, ჩასწვდეს ერის სულს და მის ტკივილებს, მოვალეა უპირველესად ყოვლისა გაეცნოს, დაეწაფოს მის ხელოვნებას.

და თუ ჩვენც ორნავ მაინც გადავფურცლავთ, თვალს გადავავლებთ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურას დღიდან რუსეთის ჩვენში დამკვიდრებისა დასასრულამდე, დავინახავთ რომ გლოვა-ტირილი დაკარგულ თავისუფლებაზე, ოცნება და ფიქრი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე არის უმთავრესი მამოძრავებელი აზრი და მოტივი ამ საუკუნის მთელი მწერლობისა.

არ არის ერთვავარ ინტერეს მოკლებული ის გარემოება, რომ ისე, როგორც ბატონიშვილებმა პირველად ააფრიალეს აჯანყების დროშა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფრონტი გაუმართეს ვერაგ

*) ეს სიტყვა ვარშავის რადიოთი გადაცემული იყო ქართულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერს. სწორედ ისე, პოეზიის ფრონტზე მათი დები მარიამ, თეკლე და ქეთევანი იყვნენ პირველნი, რომელთაც უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი რუსეთისადმი ჩააქსოვეს თავის აღშფოთებული სულით და მწვავე ნაღვლით აღსავსე ლექსებში.

«დაჰფარა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთა არეანი ბნელითა, წარხდეს წალკოტი მაღალნი, ჰოი, საკთურითა ძნელითა!...».

«ჩრდილოს კერძომან სამავთო ქარმან მძვინვარედ მქროლმან და შეუწყნარმან ჩემნი მთიებნი ჰყო გარის-გარმან, მიმოაბნივა შავ ბედის ღვარმან»...

«ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი აზიის მთიებთ დამბნელებელი»...

ასეთი მწუხარება-ბედის ჩივილით აღსავსეა მათი ლექსები.

შეურიგებლობა, სიძულვილი რუსეთისადმი, აი რა ასაზრდოებს მათ ლირიკას, აი რა ახასიათებს იმ დროინდელ ჩვენს მწერლობას და სინამდვილეს.

და მართლაც, არც სინამდვილეში, არც პოეზიაში აღარ არის უკვე რუსეთის ნდობა-იმედი. აღარაფერი საერთო, ყოველივე დამაშორებელი...

პოეტი ალექსანდრე ორბელიანი სწერს მემდეგს: «არავინ ველოდით რუსისაგან ამას, ახლა ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილან. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არ დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი».

ხოლო ნაკოლოზ ბარათაშვილი პოემაში «ბედი ქართლისა» ასეთს აზრს გამოსთქვამს: «სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს».

რუსეთთან პირველი შეხვედრისთანავე მიხვდნენ ქართველი პოეტები და ქართველი ხალხი, თუ რას ნიშნავდა რუსთა მეგობრობა, მიხვდნენ და აჯანყდნენ კიდეც, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. უკანასკნელად კიდევ სცადეს ქართველმა მამულიშვილებმა 1832 წელს, პოლონეთის აჯანყების იმედებით აღფრთოვანებულებმა, ხალხის ამხედრება და რუსების საქართველოდან გაძევება, მაგრამ ეს ცდაც უნაყოფოდ დასრულდა და ნაცვლად რუსებისა ჩვენი მამულიშვილები თვით გაიძევენ, გაიდევნენ ციმბირისა და რუსეთის ჩრდილოეთ გუმერნიებისაკენ.

ხოლო ალექსანდრე «კურთხეულის» და ნიკოლოზ პირველის რუსეთი ჩრდილოეთის ოკეანოდან შავ ზღვამდე გადაეიმული, ნაპალეონის დამარცხებით გაზვიადებული, სულთამხუთავ ვეშაპივით გადააწვა არამც თუ პაწია საქართველოს, არამედ თითქმის მთელს ევროპასაც.

გაქრა, მოისპო ყოველგვარი იმედი განთავისუფლებისა, შესწყდა მუდმივი ამბოხება აჯანყებანი, მოტყდნენ, მოიხნიქენ წელში მრავალნი და საქართველო თითქოს შეურიგდა, დაემორჩილა თვის ბედს და მონობას! უიმედობამ, უსაზღვრო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მოიცვა ყოველივე, და ეს სასოწარკვეთილება შეიჭრა, გამეფდა ჩვენს პოეზიაშიაც. აწმყოს წყევა-კრულვა, სულით ობლობა და მარტოობა, სამშობლოს გმირულ წარსულზე მოთქმა-გოდება, აი რა არის საგანი იმ დროინდელ ჩვენი მწერლობის, აი რა ამოძრავებს, რა აკვნესებს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის ჩვენს პოეტებს.

და თუ ისეთი პოეტიც კი, როგორც გრიგოლ ორბელიანი, რომელიც თავის ქვეყანას ასეთი სიტყვებათ შეამკობს: «სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა, შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამანტისა, იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა»... ჰკარგავს იმედებს საქართველოს განთავისუფლებისას და სასოწარკვეთილებას ეძლევა, რაღა უნდა ვსთქვათ დანარჩენებზე...

და აი სწორედ ამ დროს, როს ჩვენი ერი თითქოს სულით დაეცა და მოიქანცა, როს მისი ძალა და ენერგია უსწორო ბრძოლებში დაიშრიტა, გამოილია, დაიქაქსა, იმ დროს, როს, პოეტის სიტყვები რო ვიხმაროთ, «არსაიდან ხმა, არსით ძახილი, მშობელი შობილს არას მეტყოდა. მხოლოდ ხანდისხან ამოძახილი ქართლის ძილშია კვნესა ისმოდა»... სწორედ ასეთ საშინელ დროს საქართველო პოეზიის და ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდა გუნდი თერგდალეულთა, მოუსვენარი, მუდამ მშფოთავი თერგი თავის სიმბოლოდ რო გაეხადა, მის წყალს რო ზი არბულიყვენ, მისი დაუდეგარი სული დასტიქია რო შეეთვისებია.

გამოჩნდა გუნდი, რომლსაც უტეხი ფოლადისებური ნებისყოფა ახასიათებდა, რომელსაც ბრძოლა სწყურდა, თავისი ხალხის უკვდავება განთავისუფლების რწმენა-იმედი არ დაჰკარგოდა! «არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვძებს, ვინც შეხარის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!...

მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს დასწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი»!..

აი ასეთი წინასწარმეტყველური ინტუიცია-აღფრთოვანებით გატაცებულნი შემოიჭრენ საქართველოს პოეზიის პარნასზე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ძმანი მათნი. მათ უარჰყვეს, უკუაგდეს აქამდის მწერლობაში გამეფებული უიმედობა, გლოვა-ტირილი.

«მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!»... და თვის მიზნად, თვის ბრძოლის საგნად ჩვენი თავი «ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო» გამოაცხადეს.

და ამ მიზნის, ამ ლოზუნგის განხორციელების სამსახურს შეალიეს მთელი თვისი დაუშრეტელი ნიჭი და შემოქმედება. მათ სწამდათ თვისი მოწოდება, მაღალი დანიშნულება: «მე ცა მნიშნავს და ერი მხრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რო წარვუძღვე წინა ერსა», აცხადებს ამაყად ილია ჭავჭავაძე თერგდალეულთა უებრო მედროშე და მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავს დასტრიალებს, წინ მიუძღვება, გზას მიუნათებს ერს მიძინებულს და ძალა-ლეულს...

განა საჭიროა ან შესაძლოა ჩამოთვლა ილიას და აკაკის ნაწერებისა? განა თვითეულმა ჩვენთაგანმა დედის ძუძუსთან ერთად არ შეიწოვა, არ შეითვისა მათი პოეზიის ენება და სიმხურვალე? განა დიმიტრი თავდადებულის, თორნიკე ერისთავის, ბაშიაჩოკის, ნათელასი, პატარა კახის სახე-მაგალითებმა არ გამოზარდეს, არ აღაფრთოვანეს ის თავგანწირულნი გმირები, მეოცე საუკუნის უდელტეხილზე მტერს რომ ეკვეთენ და სამშობლოს სამსხვერპლოზე თვისი სიცოცხლე სიხარულით, აღფრთოვანებით რომ მიიტანეს?!

განა ბარათაშვილის, ორბელიანთა, ილიას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგის, მამია გურიელის, რაფიელ ერისთვის, ვაჟა-ფშაველას და მრავალ სხვათა პოეზიამ არ შეჰკრა, შეაკავშირა დაქსაქსული ჩვენი ერი, არ აღანთო უტეხი ბრძოლის ენერგია, არ მოუპოვა, არ განუმტკიცა რწმენა თვისი თავის, თვისი უკვდავებისა!?...

დიახ, როს ერი ჩვენი სისხლით დაცლილი დაეცა უღონოდ ბრძოლის ველზე, როს ჩაჰქრა ცეცხლი აჯანყებისა საქართველოს ყოველ კუთხეში—პოეზიის მიუვალ, ხელუხლებელ ტაძარში დაინთო უკვდავი მარადიული ცეცხლი სულიერი აჯანყება-ამბოხებისა, ცეცხლი წმინდა ქურუმთა—ქართველ პოეტთა მიერ გადვივებულ-გაჩირაღდნებული. და თუმცა რუსეთის უხეში ძალა დაეუფლა-დაეპატრონა საქართველოს ყოველ სიმაგრეს, ვერასოდეს ვერ აიღო, ვერ დაიპყრო მან სულიერი ჩვენი სიმაგრე, ვერ ჩააქრო, ვერ ჩაახშო ცხოველმყოფელი ჩვენი მწერლობა! როგორც წყვდიადით მოცულ ღამეს მოკაშკაშე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იპყრობს, იპაცებს ადამიანის თვალს და ოცნებას, სწორედ ისე მეცხრამეტე საუკუნის შავბნელ ხანის ისტორიას ამშვენიერებს მომხიბლავი, წმინდა გრძნობა-გაცდების მარგალიტებით აქარგული ჩვენი მწერლობა.

და დღეს, როს თავისუფალ სიენკევიჩის და მიკკევიჩის ქვეყნიდან გელაპარაკებით, იმ მიკკევიჩის, რომლის პატრიოტულმა ლირიკა-პოეზიამ ასე მოიხიბლა, ასე გაიტაცა საუკეთესო ჩვენი მწერლები, როს შევყურებ მკვდრეთით აღდგენილს, გაერთიანებულს პოლონეთს, რომელიც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინედ დაფლეთილი და სისხლით მორწყული იყო, უტეხი რწმენა-იმედით ივსება გული და მსურს უკვდავი სიტყვები განვიმეორო:

«ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არ გწყალობს, მომავალი შენია!»... ხოლო ჩვენ კი, შენი შვილები უცხოეთში დაფანტულ-გადატყორცნილნი, შენს ხილვას—დანატრულ-მოწყურებულნი კვლავ გეუბნებით:

«მარად და ყველგან, საქართველოვ, ჩვენ ვართ შენთანა, შენის სისხლითა გული სრულად გარდაიბანა!...»

ვ. ნაკაშიძე.

მზე-ქალა[1])

არსებობს ოდამიწაზე ერთი ქალი, რომელსაც უწოდებენ მზე-ქალას. მთელს ხალხს იზიდავს იგი თავისი მკაცრი სიბრწყინვალით.

ბედნიერი შემთხვევა მქონდა მოწამე ვყოფილიყავი შემდეგი საუბრის:

— მზე ქალას ახალი ამბები მივიღეთ. ყველაზე მეტს სიმამაცეს იჩენს მუდამ. მისი მოქმედება ფართოვდება. ის ხდება თანდათან ჩვენი ნუგეში, ჩვენი იმედი.

ვინც ამას ლაპარაკობდა, ქართველი იყო—ჩაკვირვებული, დაფიქრებული. მე მას განმარტება ვთხოვე.

— თქვენ იცით, მიპასუხა, რომ ბოლშევიკებმა გასრისეს ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ჩვენ ორი მილიონი ერი ვართ და მეთორმეტე წელიწადია ვებრძვით უღელს, რომელმაც საშინელება მოგვივლინა. ჩვენი სატახტო ქალაქი ტფილისი გარეგნულად დაწყნარებულია. უცხოელი რომ გაივლის, რუსის მართველობა ისე იქცევა, როგორც ყველგან: იქ წაიყვანენ უცხოელს, სადაც სურთ და შეუბრალებელი პოლიციის დაშინებულნი ჩვენი მოქალაქენი კი სდუმან. ხოლო ვისაც ნამდვილი მდგომარეობის გაგება უნდა, მზე-ქალა უნდა ნახოს.

— მზე ქალა?

— ეს ერთი ახალგაზდა ქალია, უბრალო გლეხის შვილი, ათ თვეზე მეტია ბრძოლას აწარმოებს დამოუკიდებლობისთვის. მამა მისიც მის ხელმძღვანელობის ქვეშაა. მზე-ქალამ გაწმინდა ბოლშევიკებისაგან ბევრი ჩვენი მთა-ადგილი. ქართველმა გლეხებმა გაიგეს კომუნიზმის გემო და მეტი აღარ უნდათ. მოსკოვს დაემორჩილონ? სიკვდილს ამჯობინებენ უმალ. რუსებმა, რასაკვირველია, თავის ჩვეულებრივ სიმხეცეს მიმართეს. 1924 წელს სამი დღის განმავლობაში რვა ათასი ადამიანი დახვრიტეს! მაგრამ მზე-ქალა თავს ინახავს მაღალ მთებში. ჩვენი ძველი ქვეყანა მთლად გაწყდება და ბოლშევიზმს არასოდეს დაემორჩილება. ჩვენ ანტიური ერი ვართ, ძველი ცივილიზაციისა, როგორ შეგვიძლია მივიღოთ უცხოთა უღელი, რომლებიც გაცილებით ჩვენზე დაბლა დგანან და გვპყრობენ მხოლოდ თავის ტლანქი და პრიმიტიული სიმრავლით.

ასე შევიტყვე, რომ კავკასიაში აღსდგა ყანნა დ'არკი. თვით ხალხის შუაგულიდან წარმოშობილი, რომელიც შეფარებულია მთებში და რომელსაც, ძველი ჩვეულების თანახმად, მეტ სახელად უწოდებენ მზე-ქალას.

Louis Forest.

---

[1]) დაბეჭდილი იყო პარიზის გაზეთ «მატენ» ამა ივლისის ათის ნომერში. მისი ავტორია ცნობილი მწერალი. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საკითხი

და მეთექვსმეტე ყრილობა ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო კავშირისა.

4—9 ივლისს მოჰხდა პარიზში მეთექვსმეტე ყრილობა «ერთა ლიგისა დამხმარე საერთაშორისო კავშირისა». ამ კავშირს აქვს დიდი მნიშვნელობა: მისი მიზანია მხარი დაუჭიროს ერთა ლიგის მუშაობას, მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი მისი უფლებრივი პრინციპების გასატარებლათ, გააფართოვოს ფარგალი მისი მოღვაწეობის და ამ რიგად ხელი შეუწყოს უფლების და მშვიდობიანობის განმტკიცებას მსოფლიოში.

ამ საერთაშორისო კავშირის წევრები არიან ნაციონალური საზოგადოებანი, წესიერად დაარსებული სხვადასხვა ქვეყნებში იმავე მიზნის მოსაწესრიგებლათ. — საქართველოშიაც იყო დაარსებული ეს საზოგადოება 1919 წელს; ბოლშევიკური რუსეთის თავდასხმამ შეაფერხა მუშაობა ამ საზოგადოებისა, მაგრამ კი ვერ შესწყვიტა მისი მოღვაწეობა. საზოგადოება მუშაობს პარიზში და ჰლებულობს მონაწილეობას ამ მსოფლიო მოძრაობაში, რამდენად ეს მისთვის შესაძლებელია.

ამ უკანასკნელ ყრილობაზე საქართველოს დელეგატებათ დანიშნულ იყვნენ: გიორგი გვაზავა, ივ. ზურაბიშვილი, ხ. შავიშვილი და კ. გვარჯალაძე.

ყრილობა გაიხსნა ლორდ სესილის თავმჯდომარეობით. წარმოდგენილ და გარჩეულ იქნა ბევრი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. იმათი ჩამოთვლას ჩვენ აქ ვერ შეუდგებით; აღვნიშნოთ მხოლოდ, როგორც იყო დაყენებული და გატარებული საქართველოს საკითხი.

წარდგენილ იყო შემდეგი პროექტი რეზოლუციისა:

«საერთაშორისო კავშირის საერთო ყრილობამ მიიღო 5 ივნისს 1921 წელს რეზოლუცია საქართველოს სასარგებლოდ, ვინაიდან ეს ქვეყანა დაპყრობილ იქნა საბჭოთა ლაშქარის მიერ წინაალმდეგ მის და მოსკოვის მთავრობათ შორის დადებულ ხელშეკრულებისა. ეს რეზოლუცია მოითხოვდა ერთა ლიგისაგან, რათა მას აეღო ხელში საქართველოს საკითხი და აღედგინა თავისუფლება ამ ქვეყნისა.

მეთექვსმეტე ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ერთა ლიგამ მართლაც ორ ჯერ (1922 და 1924) იქონია მსჯელობა საქართველოს საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლის ძალით ავალებდა თავის საბჭოს, არ გამოეშვა ხელსაყრელი მომენტი, რათა დაებრუნებინა საქართველოსათვის მისი თავისუფლება. ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ეს დავალება ერთა ლიგისა ასრულებულ იქნება ბოლომდე მის საბჭოს მიერ».

წაკითხულ იქმნა ეს რეზოლიუცია თუ არა, რუსების დელეგაციის თავმჯდომარემ, ბ. ავქსენტიევმა, განაცხადა, რომ რუსების დელეგაცია თავს იკავებს ხმის მიცემისაგან და მოითხოვა სიტყვა მოტივის გასაკეთებლად.

— ჩვენ თავს ვიკავებთ, განაცხადა მან, შემდეგი მოსაზრებით. პირველი: ჩვენ წინააღმდეგ შემოტანილ რეზოლუციისა ვერ წავალთ, ვინაიდგან ეროვნული თავისუფლება წმიდათა-წმიდაა, რომლისათვის რუსეთის დემოკრატია ყოველთვის თავგამოდებით იბრძოდა. —მეორე: ჩვენ იმას ვერც მხარს დაუჭერთ, ვინაიდგან რუსეთის დემოკრატიას სხვაფრივ აქვს წარმოდგენილი განხორციელება ეროვნული თავისუფლებისა. იგი ჰფიქრობს, რომ ეს განხორციელება უნდა მოხდეს რუსეთის სახელმწიფოს გარდაქმნით ვრცელი ფედერატიული წყობილების ნიადაგზე.

მანევრი ცხადი იყო: გამოდიოდა, რომ საქართველომ უნდა მიიღოს თავისუფლება არა საერთაშორისო ნიადაგზე და საერთაშორისო მასშტაბით, არამედ მხოლოდ რუსეთში და მხოლოდ მოსკოვის განკარგულებით. ეს არ გამოეპარა საქართველოს დელეგაციას და მის თამჯდომარემ, ბ. გიორგი გვაზავამ, მოითხოვა სიტყვა და გავიდა ტრიბუნაზე:

— შემოტანილი რეზოლიუცია, განაცხადა მან, ერთხმად მიღებულ იყო ჯერ მუდმივ კომისიაში, შემდეგ იურიდულ და პოლიტიკურ ბიუროში და არსად გამოუწვევია და ის მართლა უდავოა. მის პირველ ნაწილში ნახსენებია რუსეთის და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელმაც მიიღო საერთაშორისო სანკცია იმ ფაქტის ძალით, რომ საქართველო ცნობილ იქმნა de iure, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. მიუხედავად ამ ხელშეკრულებისა და ამ საერთაშორისო ცნობისა, რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრა მისი ტერიტორია. აშკარაა, ეს არის სრული უარისყოფა საერთაშორისო უფლებისა და პირდაპირ ბრძოლა იმ პრინციპების წინაამდეგ, რომელზედაც აგებულია თვით ერთა ლიგა და რომლის დაცვა და გატარება ძირითადი მიზანია ამ ყრილობისა. ეს მტკიცდება იმითაც, რომ საქართველოს საკითხი ორჯერ იდგა ერთა ლიგაში და არ შეიძლება არ დადგეს თავის იურიდული შინაარსით და ბუნებით. ყოველი წინადადება, რომელიც პირდაპირ ან ირიბულად ჰცდილობს გამოაცალოს საქართველოს საკითხს მისი საერთაშორისო ნიადაგი და მნიშვნელობა, შემცდარია და მიუღებელი; ის ეწინააღმდეგება თვით ერთა ლიგის დადგენილებებს. ამიტომ მე ვთხოვ ყრილობას, საქართველოს დელეგაციის სახელით, მიიღოს შემოტანილი რეზოლიუცია შეუცვლელად.

რეზოლიუცია მიღებულ იქმნა შეუცვლელად. ეს მიღება ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრი ევროპისა მხარს უჭერს საქართველოს საკითხს და მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოსაგან შესაფერ ნაბიჯების გადადგმას.

დამსწრე.

სახელოთა განაწილება

ცენტრალურ ხელისუფლებასა და კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების ხელისუფლებათაშორის, კავკასიის კონფედერაციაში.

სახელოთა (კომპეტენციების) განაწილება საერთაშორისო უფლების უძირითადესი საკითხია. იგი აღიძრება ყოველთვის, როცა საქმე გვაქვს სახელმწიფოთა შეერთებასთან—სულ ერთია, იქნება შეერთება ხანგრძლივი თუ არა. იგი გართულდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაარსდა ნაციათა ლიგა. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ როგორც კი ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ჰქმნის ხელშეკრულობით ახალს იურიდულს ერთეულს და მას ანიჭებს განსაზღვრულ თვისებებს, უთუოდ წამოიჭრება საკითხი სახელოთა განაწილების წევრ-სახელმწიფოთა და ამ ახალს ერთეულს შორის. მნიშვნელობა არა აქვს, დაწესდება ახალი ერთეული შემავალ სახელმწიფოების გვერდით—ნაციათა ლიგა და სახელმწიფოთა კონფედერაცია, თუ იგი იქნება ამ სახელმწიფოების უმაღლესი—ფედერალური სახელმწიფო, სახელმწიფოთა სახელმწიფო. მეტიც უნდა ითქვას: სახელოთა განაწილების საკითხი შეიძლება აღიძრას უნიტარულ სახელმწიფოშიც ორგვარი შემთხვევისა გამო. ერთი—თუ უნიტარულ სასელმწიფოს ავტონომიური პროვინციები აქვს, უნდა განისაზღვროს სახელო ცენტრალურ ხელისუფლებასა და ამ პროვინციების ხელისუფლებას შორის. შემდეგ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია ფუნქციების განაწილება სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლო დაწესებულებათა შორის.

ამგვარად ჩვენ არ ვაჭარბებთ, როცა ხაზს ვუსვამთ სახელოთა განაწილების საკითხის არსებითს მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოებრივ უფლებაში.

მაგრამ არის მეორე გარემოებაც. არ უნდა ავრიოთ ერთიმეორეში სახელოთა განაწილება და სახელოთა გადაცემა. ეს ძნელი გასარჩევია, მხოლოთ ნათლად უნდა გავარკვიოთ ერთიც და მეორეც, რათა თავიდან ავიცდინოთ გაუგებრობა და შეცდომები. სახელოთა გადაცემის საკითხისთვის არაა საინტერესო, თუ როგორაა განაწილებული სახელო ფაქტიურად. მისთვის საყურადღებოა მარტო ის, თუ ვინაა ბატონი უფლებათა განაწილების ანუ ვის შეუძლია შეიტანოს ცვლილებანი ამ განაწილებაში. პირიქით, სახელოთა განაწილების საკითხი ყურადღებას აქცევს მხოლოთ უფლებათა იმ განაწილებას, რომელიც დაწესებულია კონსტიტუციით და რომელიც ხორციელდება სინამდვილეში. უნდა ჩავუკვირდეთ ამ კაპიტალურ განსხვავებას.

ჩვენ აქ ახლა ვილაპარაკებთ სახელოთა განაწილებისთვის. როგორ ხდება ეს სახელმწიფოთა კონფედერაციაში? მისი განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვანაირად: ა) შეიძლება პირდაპირ ჩამოვთვალოთ უფლებანი ცენტრალურის და კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოების ორგანოებისა. ეს ფრიად მარტივი საშუალებაა და სპობს ყოველგვარ კონფლიქტის შესაძლებლობას კონფედერაციასა და მის წევრებს შორის. მაგრამ სწორედ იმიტომ რომ მარტივია, ამ სისტემას ნაკლები ფასი აქვს. განა შეიძლება ყველა უფლების ჩამოთვლა? ეგების რამე გამოგვრჩეს და მაშინ ადვილად ჩამოვარდება უთანხმოება.

მეორეს მხრით სახელმწიფო უფლება-მოვალეობანი არაა უცვლელი, სახელონი განიცდიან ევოლუციას თვით დაწესებულებებთან ერთად. ადგილობრივი რიგის თვისებებმა შეიძლება საერთო მნიშვნელობის ხასიათი მიიღონ, რადგან იცვლებიან თვით საჭიროებანი, რომელთაც ეგუებიან უფლებანი. შეიძლება წარმოიშვას ახალი საჭიროებანიც, ვინ უნდა იკისროს მათი დაკმაყოფილება? ყველაფერი ეს გამოიწვევს კონფლიქტს ადგილობრივსა და ცენტრალურ ხელისუფლებათა შორის. ამიტომ პირველი სისტემა საერთოდ უკუგდებულია და სადაც კი იგი შემოიღეს (კანადა), აშკარად ცუდი შედეგი მოგვცა. ბ) მეორე სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოთვლილია სახელონი ადგილობრივი ხელისუფლებისა და რაც ჩამოთვლილი არაა, ეკუთვნის, ცხადია, ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ სისტემის დროს ადგილი აღარ ექნება ყველა იმ უხერხულობას, რაიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ხოლო ვინაიდგან ეს ხელსაყრელი არაა შემავალ სახელმწიფოებისთვის—მათი თვისებები ვერ გასცილდება გარკვევით ჩამოთვლილს, ამიტომ უფრო მიმართავენ მესამე სისტემას. გ) ეს უკანასკნელი აღუსსავს კონფედერალურ ხელისუფლების უფლებებს და დანარჩენი ეკუთვნის შემავალ სახელმწიფოებს. ესეთი წესი აუცილებელია სახელმწიფოთა კონფედერაციაში, სადაც წევრებს—სახელმწიფოებს შენარჩუნებული აქვთ სუვერენობა და სადაც ცენტრალური ხელისუფლება სახელმწიფო კი არაა, არამედ უბრალო საერთაშორისო ასოციაცია, იურიდული პიროვნებით აღჭურვილი.

ნორმალურია, რომ კავკასიის კონფედერაციის პაქტს მოხსენებული აქვს ეს სისტემა პირველ მუხლში, სადაც ამბობს, რომ წევრები—სახელმწიფოები «განახორციელებენ ყველა უფლებას, რომელიც გარკვევით და გამორიცხვითი წესით არაა გადაცემული საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისთვის».

ამ მუხლიდან სჩანს, რომ ორი პირობაა საჭირო, რათა საქმე გამორირიცხოს შემავალ სახელმწიფოთა სახელოდან. ერთი—საქმე გარკვევით უნდა იყოს გადაცემული საკონფედერაციო ხელისუფლებისთვის, რაიც უარყოფს ყოველგვარს ჩუმს გადაცემას ან პაქტის დადგენილების გაფართოვებულ განმარტებას. მეორე—უფლება საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისთვის უნდა იყოს გადაცემული გამორიცხვითი წესით, ე. ი. რაც ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის, გამორიცხულია შემავალ სახელმწიფოების სახელოდან. პაქტი უკუაგდებს იმას, რასაც უწოდებენ შეჯიბრებითს ან უპირატესობითს კომპეტენციას და რომლის დროს ერთს ხელისუფლებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლია აიღოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მეორე ხელისუფლება უარს ამბობს მის მოწესრიგებაზე. ეს ეხება საზოგადოთ მცირე მნიშვნელობის საქმეებს, რომელთათვის შემავალი სახელმწიფოები გამოსცემენ კანონებს, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება თვითონ არ კისრულობს ამას. სახელმწიფოთა კონფედერაციაში უპირატესობითი უფლება აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს შემავალ სახელმწიფოებს.

კავკასიის კონფედერაციის პაქტი შეცდომით—ჩვენის აზრით—უარყოფს უპირატესობითს კომპეტენციას. პაქტი ფიქრობს, რომ არსებობს გამორიცხვითი სახელო საკონფედერაციო ხელისუფლებისა და გამორიცხვითივე კომპეტენცია შემავალ სახელმწიფოებისა. იგი არ სცნობს ამათ შორის საშუალოს, სადაც ორსავე ხელისუფლებას თანაბრად შეეძლოთ კანონმდებლობა. ეს ნაკლია, რადგან უპირატესობითი კომპეტენცია აადვილებს საკონფედერაციო ხელისუფლების გაფართოებას, გარეშე თვით პაქტის სამძიმო გადასინჯვისა, გაფართოვებას თანდათანობითს, შეუმჩნეველს, რომელიც არ იწვევს ამიტომაც წინაამდეგობას შემავალ სახელმწიფოების მხრით.

თუ კონფედერაციას უნდა არსებობა, ცხოვრება, უნდა გაიზარდოს მისი უფლებანი საერთო საჭიროებათა ზრდასთან ერთად. ხოლო თუ ყოველთვის, როცა დაგვჭირდება ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერება, მოგვიხდა პაქტის გადასინჯვა, ეს ფრიად დაამძიმებს მდგომარეობას და გააძნელებს განვითარებას. სოციალური დაწესებულებანი, რომელნიც არიან გამომხატველნი სოციალურ სინამდვილისა, არ უნდა იყვნენ უძრავნი და სამუდამოდ ჩამოსხმულნი; მათ უნდა ჰქონდეთ მოქნილობა, განვითარების შესაძლებლობა, რადგან სინამდვილე მუდამ იცვლება და უნდა იცვლებოდეს დაწესებულებანიც. თუ დაწესებულება მეტად წინაალუდგა სინამდვილეს, უკანასკნელი ამსხვრევს მას რევოლუციონური მოქმედებით.

ფიქრობდენ, რომ ცენტრალურ ხელისუფლების გამორიცხვითი კონპეტენცია სცვლის მთელი დაწესებულების იურიდულ ბუნებას. ეს შეცდომაა დიდი და მოწმობს ფედერალურ დაწესებულებათა უცოდინარობას. ამაზე კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი, ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ: ნაციათა ლიგასაც აქვს განსაზღვრული გამორიცხვითი კომპეტენცია—საერთაშორისო მანდატები, უმცირესობათა მფარველობა, ახალი წევრების მიღება და სხვ., მაგრამ აქედან არავინ დაასკვნის, რომ ნაციათა ლიგა იყოს სახელმწიფოთა კონფედერაცია. გამორიცხვითი კონპეტენცია არ განსაზღვრავს დაწესებულების იურიდულ არსებას, ეს მეთოდური შეცდომა თავიდან უნდა ავიცდინოთ.

(დასასრული იქნება)

მიხ. მუსხელიშვილი.

პ რ ე ს ს ა

გაზეთი «ბრძოლის ხმა» უკანასკნელ №-ში ეხება საქართველოსთვის და საერთოდ მთელი კავკასიისთვის ფრიად მნიშვნელოვან საკითხს—მოსკოვის და ანგორის ურთიერთობას:

«მეფეთა რუსეთი სამართლიანათ ითვლებოდა ოსმალეთის მტრათ. ამ მტრობის გამოჩენა და ფაქტიურათ განხორციელება მას შეეძლო მხოლოდ თავის საზღვრების ოსმალეთის საზღვრებამდე მიტანით. ეს ამოცანა მოსკოვმა შესძლო საქართველოს დასმარებით. ჩვენი ქვეყანა სპარსეთ-ოსმალოს მუდმივი მტრობით იძულებული გახდა შემოეყვანა რუსეთი თავის ფიზიკური არსებობის გადასარჩენათ. ამით მოიშალა ოსმალეთ-რუსეთს შორის სახელმწიფო-ბუფერი და გზა გაეხსნა რუსებს დანარჩენი კავკასიისაკენ და მეზობელ სახელმწიფოებისაკენ. აი უტყუარი გაკვეთილი წასულის, მიმართული ოსმალეთის ინტერესის წინაალმდეგ, მაგრამ შედეგი ოსმალეთის პოლიტიკისა ჩვენში.

მეფობა დაეცა, ბოლშევიზმა აიშვა, მოხდა ნაციონალური რევოლიუციები, საქართველო და კავკასია აარსებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. გაჩნდა ხელახლა ბუფერი ოსმალეთს და რუსეთს შორის. ყველა ეს თითქოს შედიოდა ოსმალოს პოლიტიკის მხედველობაში, ისტორიული მტერი მას შორდებოდა და მაშასადამე ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო. ნამდვილათ კი მოხდა სულ წინაალმდეგი, ოსმალეთმა მიიღო ყველა ღონე ამ მოშორებული მტერის უკან დასაბრუნებლათ და თავის მოსაზღვრეთ გადასაქცევათ. მის თავსდასხმას სომხებზე მოყვა სომხეთის გასაბჭოება; აზერბეიჯანის გასაბჭოება მათივე რჩევით და ჩარევით მოხდა. ხოლო როცა საქართველოს იგივე მტერი თავს დაესხა, მეორე მხრით ოსმალო მოადგა და ბოლოს მოხდა ჩვენი ქვეყნის განაწილება ანგორა-მოსკოვს შორის (მარტის ხელშეკრულობა 1921 წ.)...

წასული მომავლის თამასუქია. ოსმალეთის პრესის დღევანდელი გუნდრუკის კმევა საბჭოთა საქმიანობისათვის დასაბუთებაა აღებული პოლიტიკური ხაზის, ხაზის ანტი-კავკასიურის და რუსოფილურის. თუ ამდენხანს ეს ხაზი ტარდებოდა ადმინისტრატიული ზომებით, როგორც მაგალითად კავკასიური პრესის აკრძალვა ოსმალეთში, ეს გაუგონარი ზომა თანამედროვე სახელმწიფოში. ახლა ის საბუთდება საზოგადო აზროვნებით. რაკი ეს საკითხი გამოვიდა ხელისუფლების კაბინეტიდან და გახდა საგნათ საზოგადო მსჯელობის, აშკარაა მოსალოდნელია საკითხის გაფართოვება და მისი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოყენება. აქ კი მთავარია გამოცალკევება რეჟიმის საკითხის ქვეყნის საკითხიდან, ცნობა იმის რომ საბჭოთა წყობილება ერთი ეპიზოდია რუსეთის გზაზე, რასაც მოყვება სხვა ეპიზოდები. თუ კი ოსმალეთისათვის საბჭოთა სახელმწიფო «კარგი მეზობელია», ნარაირი მეზობელი იქნება მისი მემკვიდრე ხელისუფლება? «კარგი მეზობელის» ძებნა სანაქებოა, საჭიროა, მაგრამ მისი მიგნება ასე ადვილი არ დარჩა. თუ ყოველთვის რეჟიმის ინტერესი ქვეყნის

ინტერესათ დავსახეთ, რა გარანტიაა იმის, რომ მტაცებელი მეზობელიც არ იქნას დასახული «კარგ მეზობლათ». არის ერთი უტყუარი ობიექტიური საზომი მეზობლობის და მას ვერავითარი ლამაზი სიტყვები და «ნაგლეჯი ქადალდები» ვერ დაფარავენ.

თანამედროვე საერთაშორისო ბრძოლის და ქიშპობის ასპარეზზე. «კარგი მეზობელია» მხოლოდ ის, რომელსაც მატერიალურათ არ ძალუძს თავს დაგესხას და დაგანგრიოს. დღეს ბრმაც კი ხედავს დიდი სახელმწიფოების როლს ქვეყანაზე; მათი რიცხვი ხუთ თითზე ჩამოითვლება, მაგრამ ლამის მთელი ქვეყანა აანგრიონ.

პატარა სახელმწიფო თავისთავათ წარმოადგენს გარანტიას მშვიდობიანობის და კეთილმეზობლობის. თუ ის თავის ნებაზეა მიშვებული და მართლა დამოუკიდებელია. ვინც ნამდვილ დამოუკიდებლობას არ ეძებს, ვინც ბუნებრივათ თვლის უცხო სახელმწიფოს კარნახი თავის საშინაო პოლიტიკაშიაც მიიღოს და ფაქტიურათ ვასალური მდგომარეობა დაიმყაროს, მისთვის რასაკვირველია «კარგი მეზობლის» საკითხი ადვილათ წყდება, მისთვის ყველა კარგია ოღონდ გარეგანი თავისუფლება შეირჩინოს. პატარა სახელმწიფო რომელიც ისე მაგრათ არის დამოკიდებული დიდზე, რომ მას მოძრაობის თავისუფლება აღარ აქვს—მოკლებულია ნამდვილ სუვერენიტეტს. და თუ ასე შევხედავთ საკითხს, თუ მართლა სუვერენულ ერზე ვზრუნავთ, «კარგი მეზობლის» საკითხი ძირითადი პრობლემაა და მისი გადაჭრა უნდა მოინახოს ობიექტიურ პირობებში და არა სუბიექტიურ ურთიერთობაში.

და აი ჩვენ უსვამთ საკითხს ოსმალეთის პრესას: კავკასიაში ვინ უნდა იყოს ბოლშევიზმის მემკვიდრე, კავკასიის ერები თუ რუსეთი? ამ ორში ვინ არის უცილოთ «კარგი მეზობელი»? ამ საკითხის ბანზე აგდება არ შეიძლება კონტრ შეკითხვებით ინგლისის თუ საფრანგეთის როლზე კავკასიაში, როგორათაც ჩვეულნი არიან ბოლშევიზანები. ჩვენი ქვეყნის დაცემა მოხდა სწორეთ მაშინ როცა ევროპიული სახელმწიფოს არც ერთი ჯარისკაციც კი არ იდგა ჩვენში, ე. ი. გამოჩნდა, რომ ჩვენი სამხრეთი მეზობლისათვის სწორეთ უდაოთ სუვერენული პატარა მეზობელი სახელმწიფო აღარ იყო მისაღები. ორში ერთი: ან რუსეთი ან კავკასიის ერები, მესამე კომბინაცია მიდის რუსეთის სასარგებლოთ...»

საქართველოს ამბები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გასული თვის დამლევს ტფილისში გაიმართა საქართველოს მწერალთა საგანგებო ყრილობა. აირჩიეს 47 კაცისაგან შემდგარი ახალი საბჭო, რომელმაც გამოჰყო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: გ. ყურულაშვილი, მ. ტოროშელიძე, დ. დემეტრაძე, ს. ეული, პ. ჩხიკვაძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. ოადიანი, ა. მაშაშვილი, ბ. ქლენტი, ნ. მიწიშვილი, ს. ლორთქმანიძე, ლ. ქიაჩელი, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი და ტ. ტაბიძე.—მწერლების კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ტოროშელიძე და მის მოადგილეებად ს. ეული და ნ. მიწიშვილი. საბჭომ დაამტკიცა პასუხისმგებელ რედაქტორებად: «მნათობისა» გ. ყურულაშვილი, «საბჭოთა მწერლობისა»—შ. რადიანი და «სალიტერატ. გაზეთი» სა—დ. დემეტრაძე.

— საქ. კომ. პ. ცეკას ბიურომ «ჯგუფური ბრძოლისათვის და საქ. კ. პარტიის ც. კომიტეტის დაპირისპირებისათვის ამ. კავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგ» საყვედური გამოუცხადა მარიამ ორახელაშვილს და გადააყენა სახალხო განათლების კომისრის თანამდებობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ერმ. ბედია.

ქართველები პარიზში

პარიზის ქართველ კოლონიას გამოცოცხლება დაეტყო; განსაკუთრებით ეს ითქმის კულტურულ დარგზე, სადაც ნელ-ნელ, მაგრამ მტკიცეთ ფეხს იდგამს კულტურული მუშაობა ასოციაციის გამგეობის ხელმძღვანელობით და კერძო პირთა თაოსნობითაც.

ივნისის 25, გამართულ იქნა გამგეობის ინიციატივით ბ ნ დავით ვაჩნაძის მოხსენება: «საით მიდის კავკასია». მომხსენებელი შეეხო ბოლშევიკურ პოლიტიკო-ეკონომიურ რეჟიმის შედეგებს და დაახასიათა კავკასიის დღევანდელი მდგომარეობა საგარეო ვითარების მიხედვით. შემდეგ გააკეთა მიმოხილვა ერთობის ტრადიციების კავკასიის ისტორიაში და მოუწოდა კავკასიის ერებს ნაცადი ისტორიული გზით ბრძოლისაკენ. მისი შეხედულებით კავკასიელ ერებს უთანხმოების ნიადაგი დღეს არა აქვთ და აზერბეიჯანი, მთა, სომხეთი და საქართველო ერთი მიზნით—თავისუფლებისათვის—ხელჩაკიდებული უნდა იბრძოდენ,—მომავალში მათი თავისუფალი ცხოვრება კონფედერატული წესით უნდა გამოიხატოსო.

— 3 ივლისს, ბ. რევაზ გაბაშვილმა წაიკითხა მოხსენება «ცოტა რამ, ვეფხის ტყაოსანის შესახებ». მომხსენებელი შეეხო რამდენიმე საკითხს, რომლიდანაც პირველი იყო: სპარსულია თუ ქართული «ამბავი» «ვეფხის ტყაოსნის»-ა; და თვით ტექსტის გარჩევით, ზოგადი მოსაზრებით და ანალიზით მომხსენებელი ამტკიცებდა «ამბავის» ქართულობას. მეორე საკითხი, რომელიც მთავარი საკითხი გახდა მოხსენებისა, იყო: სპარსული და ქართული «მარგალიტები» და «მეგობრობა და ძმად-ნაფიცობა». ამ საკითხზე ბ. მომხსენებელი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა იმ შეხედულებას, რომელიც ბ. ზ. ავალიშვილმა გამოსთქვა თავის შრომაში: «ვეფხის ტყაოსანის საკითხები». აღსანიშნავია ის ინტერესი, რომლითაც საზოგადოება ეკიდება «ვეფხის ტყაოსანის» საკითხებს, და კამათის მსურველებიც აღმოჩდნენ, რომ დრო საკმაო ყოფილიყო.

— 9 ივლისს, ქბ. სოფიო კვდიას ხელმძღვანელობით გაიმართა ახალგაზდობის საღამო, რომელიც მიძღვნილი იყო აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი. ვაჟები და ქალები წარმოსთქვამდენ აკაკის ლექსებს და ნაწყვეტებს მისი პოემებიდან და გუნდი ასრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა აკაკის ლექსების სიმღერებს. შემდეგ დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათი: ნინო, ქეთევან და თამარი, —და წარმოთქმულ იქნა ლექსი; დასასრულს გვაჩვენეს ცოცხალი სურათი: «ქართული ზეიმი»—სიმღერითა და ცეკვით. საღამო მშვენივრად იყო მოწყობილი და საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დაიშალა. ზედმეტია იმაზე წერა, რომ ასეთი საღამოების გამართვა არამც თუ მარტო ახალგაზდა თაობისათვის, არამედ დიდებისათვის მეტად სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

— 14 ივლისს, საზაფხულო არდადაგების წინ, კოლონიის ასოციაციის ხელმძღვანელობით და ბ-ნ დავით ხარისჭირაშვილის თაოსნობით გაიმართა ბავშთა დღე. პატარა ბავშები წარმოსთქვამდენ ლექსებს, უკრავდენ პიანოზე და ვიოლონზე. დაუფასებელია ბ-ნ ხარისჭირაშვილის შრომა, რომელმაც თავს იდვა მძიმე ტვირთი შეასწავლოს პატარა ბავშებს ქართული ენა და ეტყობა ამ შრომას ფუჭად არ ჩაუვლია; ბავშთა დღე იყო მეტად კარგი, და იმედია კიდევ გაიმართება ასეთი ეროვნული დღე.

ამავე დღეს ქართული ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გათამაშებულ იქმნა ლოტარეა (შოთა რუსთაველის ბიუსტი, შესრულებული ბ-ნ მურადიშვილის მიერ, რომელსაც მადლობა გამოუცხადეს ასეთი საჩუქრისათვის). დასრულდა დღე ბავშების ცეკვით. N.

—

ივნისის 26, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე ასოციაციის გამგეობის თაოსნობით გამართულ იქნა პანაშვიდი. ბ. მღვდელმა გრ. ფერაძემ შეასრულა წესი, ხოლო ასოციაციის თავმჯდომარე ბ. გ. ყურულმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც დაახასიათა განსვენებულის ბრძოლა. ახალგაზდა მგოსანმა გ. ყიფიანმა წარმოსთქვა ლექსი მიძღვნილი ქაქუცასადმი.

წერილი ხარბინიდან

26 მაისის დღესასწაული ქართველთა საზოგადოებამ სათანადო ზეიმით გადაიხადა. კოხტად მორთული საზოგადოების დარბაზი ვერ იტევდა ხალხს. დაესწრენ კონსულები: ამერიკის, ბელგიის და პოლონეთის, აგრეთვე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელნი: პოლონელები, უკრაინელები, ახერბეიჯანელი და ოსები. დღესასწაული გახსნა თავმჯდომარემ ბ. ხაინდრავამ, რომელმაც შესაფერი სიტყვით მიმართა დამსწრეთ. მომღერალმა გუნდმა მწყობრად შეასრულა ეროვნული ჰიმნი. ამას მოჰყვა მოხსენებები, რომელნიც წაიკითხენ ქართულად ბ. ახვლედიანმა და რუსულად ბ. კეიდიამ. შემდეგ მოსმენილ იქნა მილოცვები. მიმლოცველებმა ის აზრი გაატარეს თავიანთ სიტყვებში, რომ უკრაინელებს და კავკასიის ერთა შორის აუცილებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი, რომ მათ შესძლონ გაინთავისფულონ თავი უცხოელების უღლიდგან და დაადგენ ეროვნული თვითგამორკვევის გზას. მხოლოდ მჭიდრო კავშირში და ერთობაშია მათი აზრით ხსნა. მტერმა იმიტომ სძლია ასე ადვილად ამ ერებს, რომ მათ ცალ-ცალკე მოუხდათ მტერთან ბრძოლა, და მტერმა, რომლის განკარგულებაში აუარებელი ჯარი და იარაღი იყო, თავის-თავად ცხადია, ადვილად დაამარცხა ისინი. თუმცაღა ეს გაკვეთილი ძვირად დაუჯდათ, მაგრამ, მეორეს მხრით, მისი მნიშვნელობა ჩვენთვის განუზომელია. მან ჩვენ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენს ბრძოლას თავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ ექნება სასურველი ნაყოფი, როცა ჩვენს შორის დამყარდება ერთსულოვნობა. ამიტომ ჩვენ დიდის კმაყოფილებით ვეგებებით კავკასიის ერთა კონფედერაციას, რომელიც უეჭველია რეალურ ფაქტად გადაიქცევა. უძღვნა რა მადლობა მომლოცველებს, ექიმ ჯიმკარიანმა თავის სიტყვაში მოკლეთ განმარტა კონფედერაციის მნიშვნელობა კავკასიის ერთათვის. გუნდმა ხელმეორედ შეასრულა ჰიმნი.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა «დედა და შვილი» ი. ჭავჭავაძისა, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე და ბევრი კიდევაც აატირა. დღესასწაულის გეგმა დამთავრდა ქართული ლექსების დეკლამაციით. მშვენიერი საყურებელი იყო ქ-ნი კიკნაძისა ფრიად გრძნობიერი კითხვა. ლიდია ხაინდრავამ წაიკითხა საკუთარი. საგანგებოთ ამ დღისათვის შეთხზული, ლექსი რუსულად. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ქ-ნი ჯაფარიძის მიერ წაკითხულ «ქართლის დედამ» რუსულად თარგმნილმა, აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები პატარა გოგომ ცუგა კიკნაძემ. ისეთი არტისტული უნარით კითხულობდა ქართულ ლექსებს, რომ გეგონებოდათ ვინმე დიდი ხნის პრაქტიკის მქონე იდგა თქვენს წინაშე.

შემდეგ სტუმრები მიწვეულ იქმნენ ცალკე დარბაზში, სადაც უხვად მოწყობილი სუფრა უცდიდა მათ. სუფრას თამადობდა და ხელმძღვანელობდა ექიმი ჯიმკარიანი. თვითეულ სადღეგრძელოს ზედ-ერთოდ ტრადიციული «მრავალჟამიერი». ბევრი ლამაზი სიტყვა წარმოითქვა. აქვე ბოტუევის ქალიშვილმა, ნინომ, მხატვრულად შეასრულა პიანინოზე «სამშობლო» და «ქეთო და კოტე». დროგამოშვებით იმართებოდა ლეკურის თამაში, რომელშიაც თავი ისახელეს ქ-ბმა ბაქრაძისამ, მახვილაძისამ, კიკნაძისამ, ღლონტისამ, თოდუასამ და ბ-ბმა კ. ლეკავამ, ტ. მიქელაძემ და კიკნაძემ. ლეკურს ეცვლებოდა ევროპიული ცეკვა. სტუმრებები დარჩნენ დიდათ ნასიამოვნები. დაიშალენ დილის 5 საათზე.

კირ. კეიდია.

—

ამა წლის 12 ივნისს შესდგა «ხარბინის ქართველთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების» წლიური საერთო კრება, რომელზედაც მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: ექიმი ჯიმკარიანი, ინ. ინ. მახოშვილი, ბ-ნი ი. გოგვაძე, კ. მახვილაძე, მ. ღლონტი, ე. ახვლედიანი, გ. ხუნდაძე და ბ. რობაქიძე. სარ. კომისიაში: ბ-ნი ი. ღლონტი, მ. მუედლიშვილი, ვ. გამყრელიძე, კ. ლეკავა და ი. მილორავა. გამგეობამ აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯ. ექ. ჯიმკარიანი, თავ. ამხ. ინ. მახოშვილი, მდივნად ბ-ნი გ. ხუნდაძე, მოლარედ მ. ღლონტი, სამეურნეო ნაწ. გამგედ ბ. რობაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

გამოვიდა მონუმენტალური წიგნი ფრანგულად ქართული ენის შესახებ—N. Marr et M. Brière «La langue géorgienne», რომელიც შეიცავს XVI+858 გვერდს, არის დიდი ტანის, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ძლიერ სუფთად. შესდგება ოთხი ნაწილისაგან: ფონეტიკა, სიტყვების შედგენა, მორფოლოგია და სინტაქსისი. ქართული ენის გრამატიკულ კანონების განხილვასთან ერთად გარკვეულია ქართული ენის განვითარების პროცესიც. ამას მოსდევს ქრისტომატია-მხედრული და ხუცური ასოებით დაბეჭდილი ნიმუშები ძველი ქართული მწერლობისა. ბოლოს დართული აქვს ლექსიკონი ქართული სიტყვების ანალიზური განხილვით. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ორი რუკა აწინდელი საქართველოსი —ერთი უბრალო და მეორე ფერადი. შესავალში ბ. ბრიერი მოკლედ აცნობს მკითხველებს საქართველოს და მის წარსულს.

La langue géorgienne წარმოადგენს იშვიათს, ღრმა მეცნიერულს განხილვას ქართ. ენისას და იგია ნაყოფი დიდი მუშაობის და ხანგრძლივი შესწავლის. ქართულის შესახებ ამის მსგავსი ჯერ არაფერი მოიპოვება და მისი მნიშვნელობა დაუფასებელია არა თუ ფრანგებისათვის, რომელნიც მოისურვებენ ჩვენი ენის გაცნობას, არამედ თვით ქართველებისთვისაც.

ამ წიგნის გამოცემისათვის ქართველმა საზოგადოებამ უგულითადესი მადლობა უნდა მიუძღვნას დიდათ პატივცემულს ფრანგ ეპისკოპოს გრაფენს, რომელიც დიდი ხანია უკვე მოღვაწეობს ქართული ენის და ლიტერატურის შესწავლის გავრცელებისთვის ფრანგთა შორის და რომლის მეცადინეობით მოეწყო პარიზში ქართული ენის კურსები ჯერ აკად. ნ. მარის და შემდეგ უკანასკნელის მოწაფის ბ. ბრიერის ხელმძღვანელობით. მხოლოდ ეპისკ. გრაფენის დაუღალავი შრომითა და ენერგიით და ძვირფასი საფასურით იყო შესაძლებელი ჩვენს წინ მდებარე წიგნის გამოცემა.

წერილები რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ ნება დამრთოთ გულწრფელი მადლობა გადავუხადო თეირანის ქართველთა კორპორაციას იმ დახმარებისათვის, რომელსაც ისინი მუდამ იჩენენ თავიანთ თანამემამულეების მიმართ საერთოდ და კერძოთ კი იმ მორიგ 90 სპარსულ თუმნის (180 მან. ოქროთი) დახმარებისათვის, რომელიც გაღებულ იქნა მათ მიერ სამშობლოდან ახლად გადმოხვეწილ სამი ქართველის სასარგებლოდ.

განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნი ქ ნ მ. კარგარეთელს და ბ-ნ ოდიშელს, რომლებმაც კეთილი ინებეს და ფული შეაგროვეს ქართველთა შორის.

ოთარი.

ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის ანგარიშები

(1932 წ. 15 აპრილიდან 15 ივნისამდის)

I. მიღებულ შემოწირულებათა სია:

საქართველოს მთავრობა 500 ფრ., Madame N. Hulls 150 ფრ., ქალაქ ბრიუსელის ქართველი კოლონია 88, მაიორი ქუთათელაძე 80, პოლკოვნიკი კიკვიძე 80, ბ. ა. ჩხენკელი 75, ბ. ე. თაყაიშვილი 50, ბ. შ. აბოუშელიშვილი 50, M-me et M r J. Gounia 50, M-me G. Ledoux 50, M-me O. Bertrand 50, ბ. ს. კვიტაშვილი 50, ბ. და ქ-ნი ა. და რ. ზურაბიშვილები 25, M-me Israel 20, M-me F. 20, M-me H. Meunier 20, ბ. კ. კანდელაკი 20, M-elle B. Musso 15, ბ. ნ. ნიჟარაძე 15, ბ. გ. უჩაძე 15, M-me Meunier 10, m r Guicciardi 10, M-me B. Laborie 10, M lle Lesacq 10, ბ. გ. ქლენტი 10, M-r Huau 5, ბ. ლ. ურუშაძე 5.

სულ 1.483 ფ. 00 ს.

II. დახარჯულია:

წარსულ ანგარიშის ფეფიციტის დასაფარავად	389 ფ.	94 ს.
სადილები უმუშევართათვის	54	00
დახმარება ფულის სახით	258	00
გზის ფული სამუშაოდ წამსვლელთათ.	200	00
სამდივნო და მისვლა-მოსვლის ხარჯები (უკანასკნელ სამი თვის)	222	00
სულ	1.123 ფ.	00 ს.

III. 16 ივნისს კასაში იყო 359 ფ. 06 ს.

IV. ამ დროს განმავლობაში 7 უმუშევარი მოწყობილი იყო სამუშაოზე. გაცემული იყო 138 სადილი. 20 უმუშევარს მიეცა სარეკომენდაციო წერილები, სერტიფიკატები, ფულით დახმარება და სხვ.

V. საყურადღებოდ:—

მიმდინარე ხარჯების გარეშე ჩვენ კომიტეტს აქვს «არმე დე-სალიუ»-ს თავშესაფარის ვალი იმ ბინასაჭმელისთვის, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში მიეცა იმ ქართველებს, რომელთ მოწყობა შეუძლებელი იყო სხვაგან ქაღალდების უქონლობის გამო; ამ ვალის რაოდენობა არის 1780 ფრ. 20 სან. ამ ვალის ჩქარი გასტუმრება მით უფრო სასურველია, რომ ამ დაწესებულების გამგეობა ჩვენ სიმპატიით და ნდობით გვეპყრობა და შესაძლებელია მომავალშიც ჩვენთვის მეტად საჭირო იქნეს.

მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც მატერიალურ და მორალურ დახმარებას გვიწევს და იმედს გამოვთქვამთ რომ არც მომავალში მოგვაკლებენ ყურადღებას და კეთილ განწყობილებას.

ამასთან, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს, გავახსენოთ იმათ, ვინც იკისრეს ყოველთვიური დახმარების აღმოჩენა, რომ ბევრმა თავისი მოვალეობა არ შეასრულა და რომ უცხოელები ჩვენს საქმეში მეტს ენერგიას და რეგულარობას იჩენენ, ვიდრე ჩვენი თანამემამულენი.

თავმჯდომარის ქ-ნ ბ. ჭელმის
და ხაზინადარის ბ-ნ პ. თუმანიშვილის
დავალებით, მდივანი ლევან ზურაბიშვილი.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.
Le Gérant : A. LARGILLIÈRE.